Р40 /3
1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

11
ნოემბერი
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას“.

ფოტორეპროდუქცია მხატვარ ვ. სეროვის სურათიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

№ 11

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ნოემბერი, 1953 წ.
წელიწადი XXVII

# საოქტომბრო სიმღერა

## ალექსანდრე აბაშელი

კარს მოგვადგა ოქტომბერი,
კალთა ხვავით აუვსია.
ტყე მოირთო ოქრო-ფერით,
ზეცა ოქროს აუზია.

ყურძნის ლალზე ცვარი ბრწყინავს,
ვაშლს ტოტები დაუხრია,
მთის ფერდობზე მზეს და წვიმას
ქარვის შუქი დაუღვრია.

ყველგან ოქროს ზანაკია,
ყველგან ფარჩის ფენებია,
ეს ქვეყანა ბარაქიან
შრომას დაუმშვენებია.

ჩვენს ბედნიერ ახალგაზრდებს
ყელი მოუღერებიათ,
მათი გული ახალ განცდებს
ტკბილად აუძგერებია.

მეგობრებო! მესმის თქვენი
უწმინდესი გულის ძგერა:
ეგ სიმღერა აღმაფრენი
ოქტომბერმა დაგვიწერა.

ოქტომბერი! ოქტომბერი! —
რა დიადი თარიღია!
სინათლეა უქრობელი
და მომავლის კარი ღია.

ეგ სინათლე ფიანდაზად
თქვენს სავალ გზას დააჩნდება.
ოქტომბერმა გიანდერძათ
სიცოცხლე და გამარჯვება.

თქვენ შეგცქერით, თქვენთანა ვარ,
თვალი მომიჩერებია,
თქვენი სუფთა ხმის თანაბარ
ჩანგი ამიჟღერებია.

დაირაზმეთ, წინ იარეთ,
ისწავლეთ და გაისარჯეთ.
თქვენი საქმე წიგნი არი,
მხოლოდ სწავლით გაიმარჯვებთ.

და ეს ლექსიც აქ თავდება:
მიზნად გქონდეთ დასახული —
სიმართლისთვის თავდადება
და სამშობლოს სამსახური.



6604

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. ალ. გიგოლაშვილისა

ი. გრიშაშვილი

# საბჭოთა მესაზღვრის პასუხი

საით მოიწურები... ნუ გგონია შარაგზა,
საზღვარია, ვერ ხედავ, ჩვენმა ჯარმა ჩარაზა!

სახე შეგინილბია, დახვალ როგორც მთხოვარი,
ალას ფეშტამალი ხარ, გამყიდველი, მსტოვარი.

შენ შენი ხმა ვინ მოგცა, ისაკუთრებ სხვისასა,
ვინც მეტს შემოგთავაზებს — იმით ივსებ ქისასა.

ჩვენში აგრე როდია! მოდის სულ სხვა თაობა,
წინ ნამუსი მიგვიძღვის, შრომა, გამბედაობა.

მიღწევებით, ახალით, ქალაქები დამშვენდა,
სადაც იყო უდაბნო, იქ ქარხნები აშენდა.

ჩვენს დროშაზე სწერია: მეგობრობა! მშვიდობა!
მაგრამ მტერი.. მტერი კი ჩვენში არ დაინდობა.

შენ კი გინდა გაჰყიდო უცნობი თუ ნაცნობი
და სიმართლით ნათქვამი ხალხს სიმრუდით აცნობო.

სხვისთვის შარბათს ამზადებ, ჩვენთვის ლესავ დანებსა;
— ჩემი ტყვია დაეძებს სწორედ შენისთანებსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შატბერაშვილი

ნახ. გ. თოთიბაძისა

# მერცხლის ბუდე

გაბრიელმა ხან ხმას აუწია, ხან ხელი ხელს შემოჰკრა, ხან თითით დაემუქრა აჟაგჟაგებულ შვილიშვილებს, ბოლოს, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, გაბრაზებულმა მაგიდის კუთხეს გაშლილი ხელი მთელი ძალით დაჰკრა და ფეხზე წამოდგა. მაგიდა შეზანზარდა, ჭიქები და ლამბაქები აწკრიალდა, ოქროსფერი ძველი სამოვარი შეტორტმანდა, მის თავზე შესკუპებული ჭრელი ჩაიდანი შეზრიალდა, წინ გადმოიხარა და მილიდან ბოლქვებად ორთქლი ამოუშვა. დიდედა კატომ ხელი შეაშველა ჩაიდანს და ქმარს საყვედურით გახედა.

ქერანაწნავებიანმა პატარა მზიამ წყენით თავი ჩაღუნა, შუბლი მაგიდის კიდეს დააყრდნო და ასლუკუნდა. მზიას გვერდით მჯდარი ნიკოც შემკრთალი შეჰყურებდა ფეხზე წამომდგარ განრისხებულ პაპას. სულ პატარა, მუდამ მოტიტინე ვანოც გატრუნულიყო, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ყველას და დედის კალთიდან მამის მუხლებზე გადაცოცებას ცდილობდა.

— რა დაგემართათ, ისეთი ალიაქოთი ასტეხეთ, თითქოს ქვეყანა იქცეოდეს. მერცხლის ბუდეა, სასახლე ხომ არ არი, დაინგრევა და დაინგრეს! — წამოიძახა გაბრიელმა და ოთახში გაჯავრებით გაიარ-გამოიარა.

ამის თქმა და წუთით განაბული ბავშვების ახმაურება ერთი იყო. მზია უფრო მეტად ასლუკუნდა, ნიკომ რაღაც წამოიძახა, ფეხზე წამოდგა და დედასთან მიირბინა, პატარა ვანომ საშინელი ჭყივილი ასტეხა. დიდები პატარებს აშოშმინებდნენ, ტუქსავდნენ, უყვავებდნენ. პატარები მაინც არ იშლიდნენ, არ წყნარდებოდნენ, თავისას მოითხოვდნენ.

— ჩაი გაცივდა! — პირქუშად გამოაცხადა დიდედა კატომ.

— არ მინდა, არ მინდა!.. ბუდეს ნუ ჩამოშლით, არ მინდა! — ჯიუტად იმეორებდა მზია, ჩაის ფინჯანს განზე სწევდა და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ფანჯარასთან გაჩერებული გაბრიელი უცებ შემობრუნდა, მზიასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, დაუყვავა და ტკბილი ხმით უთხრა:

— მაშ, რა ვქნათ, შვილო, მერცხლის ბუდის გამო სახლის შეკეთებას თავს ხომ ვერ დავანებებთ? ჰა, როგორ მოვიქცეთ, ვიცხოვროთ ამ ერთ პატარა ოთახში?!..

მზია თავჩაღუნული უსმენდა და თავის დღიურზე ფიქრობდა. ამ დღიურში ის სოფელში მოსვლის პირველი დღიდანვე იწერდა მერცხლების ყოველდღიურ თავგადასავალს. აკვირდებოდა, გულმოდგინედ უთვალთვალებდა, როგორ ისხდნენ მერცხლები ახალდადებულ კვერცხებზე, როგორ გამოჩეკეს ბარტყები, როგორ ფაქიზად უვლიდნენ, თავს ევლებოდნენ, უფრთხილდებოდნენ და იქვე განაბულ გოგონას სიყვარულით ჩამოჟღურტულებდნენ.

ახლა კი...

რაღა უნდა ჩაწეროს დღიურში? როგორ დაამთავროს? როგორ ჩაწეროს დღიურში, რომ მის ოჯახში მერცხლის ბუდე შეუბრალებლად დაანგრიეს და ბარტყები... არა, არა, ეს არც მოხდება და არც ჩასწერს ამას დღიურში. როგორ უნდა უჩვენოს ასეთი დღიური მასწავლებელს, ამხანაგებს!..

ყველა გაჩუმებულიყო. კედლის საათის ტიკტიკი მკაფიოდ ისმოდა სხვა ოთახებიდან გამოტანილი ავეჯით უწესრიგოდ მოწყობილ ოთახში.

— მერცხლებს ბარტყები ჰყავთ... ისეთი პატარა, პატარა ბარტყები, რომ... სანამ დაფრენდნენ, ნუ ჩამოვუშლით ბუდეს...—მზიას ხმა ჩაუწყდა, ვედრებით შეხედა მოხუცს და თვალები ისევ ცრემლით აევსო.

— ერიჰაა! — წამოიძახა გაბრიელმა, — ბარტყების დაფრენას მერცხლები ერთი-ორი კვირა მაინც მოუნდებიან. აბა ეს როგორ იქნება!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მეორე ოთახის ჭერზე მიკრულ მერცხლის ბუდეზე ფიქრობდა. ეზოდან ბირდაბირის ხმა ისმოდა. უზარმაზარ ხეს ხერხავდნენ მხერხავები. შალაშინი შრიალებდა, გაზაფხულის ნიავი აივანზე ბურბუშელას ფანტავდა.

— სულ ჩემი ბრალია,—წამოიწყო დიდედა კატომ და შვილიშვილებს სიყვარულით გადახედა,— ამ გაზაფხულზე ეგ მერცხლები რომ მოფრინდნენ, გული სიხარულით გამეხსნა, ასე მეგონა თბილისიდან ჩემი პატარების მოსვლა მახარეს... ოთახში ბუდის გაკეთება რომ დაიწყეს ორჯერ მაინც ჩამოვუშალე, იქნებ აივანზე აიშენონ - მეთქი... შენ არ მომიკვდე, ისე ჩამჟღურტულებდნენ, თითქოს მეხვეწებიან, ბუდეს ნუ მოგვიშლიო... აბა, რა მექნა? სულ ჩემი ბრალია, ჩემი...

— ახლა ამ ამბავს უბედურებად ნუ გადააქ-

ცევთ, — შეაწყვეტინა პაპა გაბრიელმა აცრემლებულ ცოლს...—აღარ გახსოვთ, შარშან სოფლის გზა რომ გააფართოვეს, ჩვენი მეზობლის დიმიტრის სახლის აღება გახდა საჭირო, ოთხოთახიანი მოწყობილი სახლის! ხუმრობა საქმე ხომ არ იყო! რა ქნა მერე დიმიტრიმ?

რა ქნა? — უცებ გაოცებით შეეკითხა თვალებგაფართოებული ნიკო.

— რა ქნა და, ხმაც არ ამოუღია. საქვეყნო საქმეს წინ რა დაუდგება?.. ადგა და სახლი სხვა ადგილას გადაიტანა! რა გახდა ეს ერთი მერცხლის ბუდე, რა გახდა?!

— როგორ გადაიტანა?—კვლავ შეეკითხა ნიკო.

— მომისმინეთ! — უცებ სიხარულით წამოიყვირა ნიკომ და ფეხზე წამოხტა, — რადგან დანგრევა და სხვაგან ახლის აშენება შეუძლებელია, ჩვენი მერცხლების ბუდე გადავიტანოთ აივანზე!

— მალე მორჩით და გაათავეთ! — შვებით ამოისუნთქა გაბრიელმა.

— აივანზე მართლაც კარგი იქნება, აივნის ჭერი უკვე შეკეთებულია... აბა საქმეს შევუდგეთ! — ჩაერია საუბარში აქამდის გაჩუმებული ნიკოს, მზიას და ვანოს მამა და ისიც ფეხზე წამოდგა.

ყველამ მეორე ოთახს მიაშურა.

ოთახში ხელოსნები გამალებით მუშაობდნენ. კედელზე მაღალი კიბე მიედგათ და სუფთად გაშალაშინებულ ფიცრებს ჭერზე აკრავდნენ. ისმოდა ჩაქუჩის რახუნი, ხელოსანთა შეძახილები.

დაბალი ტანის ქერა ხელოსანი კიბიდან ჩამოვიდა, შუბლიდან ოფლი მოიწურა, გაბრიელს ღიმილით თვალი ჩაუკრა და მის გვერდით მდგარი ნიკო ჭერის ერთი კუთხისკენ მიახედა.

— აგერ, იმ კოჭის ჭუჭრუტანაში კრაზანასაც ჰქონია ბუდე. წეღან ფიცარი რომ ავაჭედე, გამოქანდა და ხელზე მიკბინა... ვაი თუ კვერცხები დარჩა ბუდეში, რა ვქნათ, ბიჭო, ხომ არ ავყაროთ ფიცარი, ჰა?..

— ძია სოსე, კრაზანა კრაზანაა და მერცხალი მერცხალი! — წამოიძახა ნიკომ და წყენით თავი ჩაღუნა, — მერცხლის ბუდეს არ დაგანგრევინებთ, ჩამოვიღებთ და აივნის ბოლოზე გადავიტანთ!

— ჰო, ეგ კარგად მოგიფიქრებიათ... აბა თქვენ იცით, ოღონდ ფრთხილად, არ ჩამოგენგრეთ...

ხელოსანმა გაბუტულ ნიკოს მხარზე ალერსით დაჰკრა ხელი, ნიკაპი აუწია, ეშმაკურად გაუღიმა. მერე კუთხეში მიყუდებული კიბე მოარბენინა.

ბუდის ქვეშ დადგმულ გასაშლელ კიბეზე ერთი მხრიდან სოსე ავიდა, მეორე მხრიდან ნიკო. ბუდის პირი მის მხარეს იყო. ნიკომ ფრთხილად ჩაიხედა ბუდეში. ხმაურზე ოთხმა ოდნავ შეღინღლულმა ბარტყმა ერთად ასწია ყვითელი, დიდი თავი, პირი ფართოდ დააღო და მხიარულად აჟივჟივდა. ნიკომ ჯიბიდან დანა ამოიღო, გაშალა და ფრთხილად დაიწყო ბუდის მოშორება ძველი, ჩაშავებული თავხედან. ბუდე გაქვავებულიყო, პატარ-პატარა ნაფშვენები ცვიოდა იატაკზე.



— მოვლენ, შვილო.—ამშვიდებდა დიდედა კატო მზიას, მაგრამ თვითონაც გული ეთანაღრებოდა.

— ვაიმე, ბარტყები არ ჩამოცვივდნენ! — იძახდა შეწუხებული მზია და თვალს არ აშორებდა ბუდეს.

სოსემ ნაბდის ქუდი მოიხადა და ქვევიდან შეუშვირა ბუდეს.

— სჯობია ჯერ ბარტყები ამოსხათ და ბუდე ისე მოხსნათ! — შესძახა დიდედა კატომ და მეორე ოთახიდან ბალიში გამოიტანა.

ჯერ პირველი ბარტყი არც კი ჩამოეწოდებინა ნიკოს, რომ ოთახში შეშფოთებული მერცხლები შემოიჭრნენ, ბიჭის თავზე ტრიალებდნენ, ბუდის მახლობლად დაჰქროდნენ, გამწარებით ჟღურტულებდნენ... მერე ისევ გარეთ გაიჭრნენ და თვალს მიეფარნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარტყები უკვე რბილ ბალიშზე ისხდნენ და გრძელ კისრებს საცოდავად ასავსავებდნენ, რომ ოთახში ახლა ორის ნაცვლად, მერცხლების მთელი გუნდი შემოიჭრა. მერცხლები ბუდესთან ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ, ოთახში დასრიალებდნენ და გამყივანი ჟივილ-ხივილით ცდილობდნენ ნიკოს და სოსეს შეშინებას, რომელთაც, როგორც იყო ბუდე უვნებლად მოაშორეს თავხეს და დაბლა ჩამოვიდნენ. — მეე... რცხალო მე .. რცხალო, ნუ გეშინია, მე...რცხალო..., არაფერს გავნებთ, მე...რცხალო! — შესძახოდა ქვემოდან დიდედა კატო, მაგრამ მერცხლები არ მშვიდდებოდნენ... ისინი ახლა იმ ადგილს მისცვივდნენ, სადაც ბუდე ეგულებოდათ. ჰაერში გაჩერებულნი, ფრთების ფარფატით ათვალიერებდნენ ნაბუდარს, უცებ საოცარი ჟღურტულით, თითქო თავის უბედურებას მიხვდნენ და შეიცხადესო, ბუდეს მოშორდნენ და ერთბაშად ისევ გარეთ გაფრინდნენ.

„გაფრინდნენ... ვაი თუ სამუდამოდ გაფრინდნენ და აღარც მოვიდნენ. ვაი თუ მიატოვონ ბუდეც, ბარტყებიც!.. მერე?..“ ფიქრობდა შეწუხებული მზია და ბალიშის შუაგულში რბილად მოკალათებულ ბარტყებს სიბრალულით უთვალთვალებდა.

მაგრამ განა ასე ადვილად დასთმობდნენ მერცხლები თავის ნაამაგარ ბუდეს, საყვარელ ბარტყებს! ის-ის იყო სოსემ აივნის ბოძს კანაფით ფრთხილად მიაკრა ბუდე, ის-ის იყო ნიკომ სათითაოდ ჩასხა ბარტყები შიგ, რომ მერცხლები ისევ შემოფრინდნენ ეზოში. ჯერ შორიახლო დაჭქროდნენ, მერე ერთი, ყველაზე გამბედავი აივანზეც შემოსრიალდა, აივნიდან ოთახში შეფრინდა და ნაბუდარს მიაშურა. მას სხვა მერცხლებიც შეჰყვნენ. მათ დიდხანს იფარფატეს ჩამოშლილ ნაბუდართან, მერე აივანზე გაფრინდნენ და ბოძებ შუა გაჭიმულ თოკზე ჩამოსხდნენ.

— აქა, აქა, მერცხალო, მერცხალო! — შესძახოდა მზია და ბუდისკენ უთითებდა.

— აქა... აქა... მეცა... მეცა.. — ტიტინით იმეორებდა პატარა ვანო და მზიას უკან დასდევდა.

თოკზე მსხდარ მერცხლებს კისრები წაეგრძელებინათ, აჟივჟივებული ბარტყების ძახილიც ესმოდათ, მაგრამ ბუდესთან მისვლას ვერ ბედავდნენ, ეჭვით გასცქეროდნენ, გაქვავებულნი ისხდნენ.

უცებ ისევ შურდულივით მოსწყდა ერთი მათგანი ადგილს და თვალს მიეფარა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს.



ნიკომ მზიას საიდუმლოდ წასჩურჩულა: წელან, სიმინდს რომ ვთოხნიდი, აუარებელი ჭიაღუა ვნახეო.

გავიდა ერთი საათი, ორი... ოთახში სოსე ჩაქუჩს არაკუნებდა, ეზოში ბირდაბირისა, რანდისა და შალაშინის ხმაური ისმოდა. ბავშვები ჩუმად ისხდნენ და აივნის თავში, ბოძზე მიკრულ ბუდეს გასცქეროდნენ, მერცხლების გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ... ბუდეში დამშეული ბარტყები მინაბულიყვნენ, ბურბუშელის ყოველ გაშრიალებაზე თავს მაღლა სწევდნენ და საცოდავად ჟღურტულებდნენ.

მერცხლები კი არ ჩანდნენ.

— მე წავალ, ჩემი ბრიგადის წევრებმა გაიარეს, — წასჩურჩულა გაბრიელმა დიდედა კატოს, კიბისაკენ გაემართა და, როცა გრძელ ტახტზე დაღონებით მსხდომ შვილიშვილებს ჩაუარა, წამით შეჩერდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა, ბავშვები ებრალებოდა.

— ნუ გეშინიათ, მოვლენ, მოვლენ თქვენი მერცხლები!

მზიას გული აუჩუყდა და პაპას თვალი მოარიდა. ნიკომაც წყენით ჩაღუნა თავი.

პაპა კიბეზე დინჯად დაეშვა...

— რომ არ მოვიდნენ? — გულისტკივილით მიაძახა მზიამ.

გაბრიელს უკან აღარ მოუხედავს, ეზოს ჭიშკარი გაიხურა და თვალს მიეფარა.

— მოვლენ, შვილო, განა შეიძლება მშობელმა

თავისი შვილები მიატოვოს? — ამშვიდებდა დიდედა კატო მზიას, მაგრამ თვითონაც გული ეთანალრებოდა, ეჭვობდა, იქნებ მერცხლები შეშინდნენ, დაფრთხნენ და ბუდეს აღარ მოეკარონო. მცირე ხნის შემდეგ დიდედაც ეზოში ჩავიდა, ხელოსნებს სამხარი უნდა გავუმზადოო. ნიკომაც აივნის კუთხეში მიყუდებული პატარა თოხი აიღო და სიმინდის სათოხნელად გასწია. იქვე ეზოში თავისი ხელით დათესილი სიმინდი ჰქონდა, გულდაგულ უვლიდა, ხშირად რწყავდა და თოხნიდა.

ახლა კი გული ვერ დაუდო მუშაობას. ერთიორჯერ რომ გამოუსვებდა თოხს, მერე ზევით ცაში აიხედავდა, მერცხლები ხომ არ გამოჩნდნენო, ცას რომ მოათვალიერებდა. ახლა აივნის მოაჯირთან მდგომ ცხვირჩამოშვებულ მზიას გახედავდა ცალი თვალით და ისევ უგულოდ განაგრძობდა თოხნას.

დადგა სადილობის დრო. ყველანი დიდი მაგიდის ირგვლივ ჩამოსხდნენ. ხმას არავინ იღებდა. ყველა მიტოვებულ ბუდეში მსხდარ დამშეულ ბარტყებზე ფიქრობდა.

— მერცხალი ძალიან მოსიყვარულე ფრინველი მეგონა, — დაარღვია სიჩუმე დიდედა კატომ და პაპა გაბრიელს გახედა. — მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ პირიქით გულქვა და შეუბრალებელი ყოფილა. ბარტყების ასე მიტოვება შეიძლება? განა კრუხი სავის წიწილას თავს დაანებებს? ხომ გინახავს, როგორ ებრძვის ხოლმე ქორს... ან კიდევ...

— არა, დიდედა... მე მგონი, ეს ყველაფერი ჩვენს მერცხლებს მოუფიქრებლობით, უჭკუობით



ბავშვები გახარებულნი გასცქეროდნენ მერცხლის ბუდეს.

ემართებათ, ვერ მიმხვდარან რა მოხდა, ვერ მიმხვდარან, რომ ბუდეს ადგილი შევუცვალეთ! — სიტყვა ჩამოართვა ნიკომ.

— არა, არა! — წამოიძახა მზიამ წყენით, — ჩემი მერცხლები შეუბრალებლები არ არიან და არც უჭკუონი... აბა, ჩვენ დაგვინგრიონ სახლი, აბა ჩვენ აგვაწიოკონ, განა არ შეგვეშინდება?.. მე მგონი, მერცხლებს თავზარი დაეცათ. დაფრთხნენ, შეეშინდათ და ვერ გამორკვეულან... — აქამდის გაჩუმებულმა პაპა გაბრიელმა მზიას გაუღიმა, თავი დაუქნია და მშვიდად თქვა:

— მე მგონია, ყველაზე ახლოს სიმართლესთან მზიას ნათქვამია... მერცხლები მართლაც შეშინდნენ, თავზარი დაეცათ. სიფრთხილის გამო ბუდეს არ ეკარებიან. აი, ნახავთ თუ არ დაუბრუნდნენ ბუდეს!

— მაგრამ მანამდე ბარტყები ხომ შიმშილით დაიხოცებიან! — წამოიძახა მზიამ.

ყველამ ერთმანეთს შეხედა. ამ სიტყვებმა ყველა დააფიქრა. სადილიც გაუგემურდა... სუფრაზე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

სადილის შემდეგ ნიკომ მზია ცალკე გაიხმო და საიდუმლოდ წასჩურჩულა:

— წელან, სიმინდს რომ ვთოხნიდი, აუარებელი ჭიაღუა ვნახე... და გადავწყვიტე...

— ჰო, მივხვდი, მივხვდი, რა კარგია! — წამოიძახა სიხარულით მზიამ.

— ჩუმათ. ჯერ ნურავის ეტყვი, ეს ჩვენი აღმოჩენა იყოს! — გააფრთხილა ნიკომ. — თუ ამ ერთ ორ საათში მერცხლები არ მოფრინდნენ...

— კარგი, ასე მოვიქცეთ... მაგრამ ვაი თუ ჩვენი ჭიაღუა იუცხოვონ და არა სჭამონ, მერე?..

— ვნახოთ... ცდა ბედის მონახევრეა!

ორი საათი გავიდა, სამიც და მზეც ჩაიწვერა დასავლეთისკენ. მერცხლები მაინც არსად ჩანდნენ. ნიკო და მზია ცას შესცქეროდნენ.

* * *

კარგად შეღამებული იყო, როცა პაპა გაბრიელმა სახლის კარი შეაღო. ოთახში სიჩუმე იყო, მხოლოდ მძინარეთა ფშვენა და საათის განუწყვეტელი ტიკტიკი ისმოდა. ყველას ეძინა. გაბრიელმა იცოდა, რომ კატოს ჯერ არ ეძინებოდა, მის დაბრუნებას დაელოდებოდა. მისი ტახტისკენ ნაბიჯი ფრთხილად გადადგა, უნდოდა ჩუმად ეკითხა, მერცხლები დაბრუნდნენ თუ არაო, მაგრამ უნებურად რაღაცას დაეჯახა. გაისმა ბრახუნი. კატომ მხარი მოინაცვლა და კედლისკენ ბუზღუნით გადაბრუნდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელი თითისწვერებზე შემობრუნდა, წაქცეული სკამი ხელში აიღო, მაგიდასთან მივიდა, ლამპას ამოუწია და მისთვის დატოვებულ ტილოგადაფარებულ ვახშამს მიუჯდა. უცებ მან მაგიდის კიდესთან საწერკალამი და გაშლილი რვეული დაინახა. მოხუცმა მზიას დღიური იცნო. რვეული ლამპასთან ახლოს მიიწია და სათვალე ამოიღო.

„...ივლისი, 1953 წ. საღამოს 10 საათი...

ისე დაღამდა, რომ მერცხლები მაინც არ მოფრინდნენ. ნუ თუ მართლა მშობლიური გრძნობა არ გააჩნიათ, როგორც დილას დიდედა კატომ თქვა. არა, არა, მე მჯერა... საცოდავი ბარტყები ისე დასუსტდნენ, რომ თავს ვეღარ სწევდნენ მაღლა. რა ჭკვიანი ძამიკო მყავს, რა კარგად მოიფიქრა. ეზოში აუარებელი ქიაფუა მოვაგროვეთ და ბარტყებს მოუტანეთ, რომ მოგესმინათ, შეგბრალებოდათ, ისეთი ჟღურტული და ჭყიპინი ასტეხეს. კარგად გაძღნენ და დაიძინეს... ეს რომ არ გაგვეკეთებია, ვინ იცის გაუძლებდნენ თუ არა მთელი დღე-ღამის შიმშილს. ცოტათი დავწყნარდით. თუ მერცხლები არ მოფრინდებიან, როგორმე ჩვენ გამოვზრდით საცოდავ ბარტყებს... ჩვენც ვიძინებთ. პაპა გაბრიელი იგვიანებს. ვიცი ისიც სწუხს, მაგრამ სად სცალია ჩვენი ბარტყებისათვის, კოლმეურნეობაში აუარებელი საქმე აქვს... ვიცი ჩემს დღიურში ცალი თვალით მაინც ჩაიხედავს და ძალიან გაახარებს ჩვენი მოფიქრება. ნეტავ ხვალ დილით მაინც მოფრინდნენ?!..“ გაბრიელმა გაიღიმა, მზიას საწოლისკენ სიყვარულით გაიხედა. „კარგი მოსიყვარულე გოგო გვეზრდება“, გაიფიქრა მან, შუქი ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა.

* * *

მეორე დილით ჯერ პაპა გაბრიელსაც არ გაღვიძებოდა, რომ მზიამ თვალი გაახილა, იქვე მეორე ტახტზე მწოლიარე ნიკოს ხელი ფრთხილად გაჰკრა და გამოაღვიძა: ორივენი ჩუმად წამოდგნენ და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდნენ აივანზე. წყნარი, ძალზე წყნარი დილა იყო. მზე ჯერ არ ამოსულიყო. ბავშვები ეზოში ჩავიდნენ და ქიაღუების მოგროვებას შეუდგნენ, თან მაინც მოუთმენლად მოელოდნენ მერცხლების გამოჩენას.

ის-ის იყო მზე ამოიწვერა გაღმა ქედებზე და მისმა პირველმა სხივებმა აივანზე შეითამაშეს, რომ სანატრელი ჟღურტულიც გაისმა. მერცხლები აივანზე შეფრინდნენ და მაშინვე ბუდეს მიაშურეს. მზიამ და ნიკომ სიხარულის ყიჟინა დასცეს. გაბრიელი და დიდედა კატო აივანზე გამოცვივდნენ და ისინიც გახარებულნი გასცქეროდნენ მერცხლის



მერცხალმა მიაშურა ბარტყებს.

ბუდეს, რომელსაც ხან ერთი მერცხალი მიაშურებდა და ბარტყებს თავს ევლებოდა, ხან მეორე.

დრო გადიოდა. ბარტყები იზრდებოდნენ, ბუმბულით იმოსებოდნენ. იზრდებოდა და ახალ-ახალი ჩანაწერებით ივსებოდა მზიას დღიურიც. გალამაზდა და დამშვენდა სახლიც, რომლის შეკეთებაც უკვე დაემთავრებინათ.

„რომ იცოდეთ, როგორ გალამაზდა ჩვენი სახლი, — წერდა მზია თავის დღიურში, — მიხარია, რომ ახალი სახლი გვაქვს, მიხარია, რომ ბუდეც უვნებლად გადარჩა და მერცხლებიც ბედნიერები არიან. ახლა ისინი ფრენას ასწავლიან ბარტყებს. თუ არ გინახავთ, უნდა უსათუოდ ნახოთ, როგორ ასწავლის მერცხალი თავის ბარტყს ფრენას. გუშინწინ დედა მერცხალი მოფრინდა ბუდესთან, მაგრამ ჩვეულებრივად ბუდის ნაპირზე კი არ ჩამოჯდა. იგი ბუდის პირდაპირ ფრთების ფარფატით ჰაერში გაჩერდა და ქიაღუით გამოტენილი ნისკარტი ახლოს მიუტანა ყველაზე თამამ ბარტყს. ბარტყი ბუდიდან ამოფორთხდა, ბუდის ნაპირას ჩამოჯდა და ფრთების ქანაობით და მხიარული ჟღურტულით სთხოვდა დედას საკვებს. მერცხალი ახლოს, სულ ახლოს მიუტანდა ნისკარტს ბუდიდან გადმოხრილ ბარტყს და სწრაფად აივანზე გაიქროლებდა. უცებ ბარტყმა თავი ვეღარ შეიმაგრა, ბუდეს მოსწყდა, შეიფართხალა და... ისიც გაფრინდა, დედას დაედევნა...

ნიკო, მე და დიდედა კატო ხშირად ვსხედვართ აივანზე და სულგანაბულნი შევცქეროდით ამ სანახაობას“...

* * *

აგვისტო მიიწურა. დამწიფდა ატამი და ვაშლი. ქარვისფრად დაიკრახა, დატკბა ყურძენი. მზია და ნიკო დღეს-დღეზე ითვლიდნენ, თბილისში წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაბრიელმა მზიას დღიურის კითხვა დაიწყო.

სასვლელად ემზადებოდნენ. ენანებოდათ მშობლიური სოფლის დატოვება, მაგრამ, რომ გაიხსენებდნენ პირველი ზარის წკრიალს, საყვარელი მასწავლებლის სახეს და ქალაქის მჩქეფარე. საქმიან ცხოვრებას, გული მოლოდინით ეკუმშებოდათ.

დადგა წასვლის დღეც. ეზოში მანქანა გამოჩნდა.

— მალე თქვენი მერცხლებიც გაფრინდებიან და დავრჩებით მარტონი, — წუწუნებდა დიდედა კატო და ბავშვებს სიყვარულით ეთხოვებოდა.

— აბა, ჩემო მერცხლებო, არ დაგვივიწყოთ, წერილი მოიწერეთ, კარგად ისწავლეთ!

— ჩვენს მერცხლებს გაუფრთხილდით, თბილ ქვეყნებში რომ წავლენ, ბუდე არ დაუნგრიოთ! — ეტიტინებოდა დიდედას მზია.

მანქანა დაიძრა. ხელის ქნევით და ყიჟინით ეთხოვებოდნენ ბავშვები მოხუცებს.

სოფელს რომ გასცდნენ, მზიამ შორიდან ერთხელ კიდევ შემოხედა მთის ფერდობზე მერცხლის ბუდესავით მიკრულ ლამაზ, მშობლიურ სახლს, მერე საყვარელი მერცხლების ბუდე დაუდგა თვალწინ, ერთი წუთით გული დასწყდა. დაენანა და გადასწყვიტა თავისი დღიური ასე დაემთავრებინა:

„30 აგვისტოს ჩვენ თბილისისკენ წამოვედით. დიდედა და პაპა მოიწყენენ უჩვენოდ, მაგრამ გაზაფხული ისევ დადგება. ჩვენ და მერცხლები ერთად დავუბრუნდებით ჩვენს მშობლიურ ბუდეს".



ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტორეპროდუქცია მხატვ. ალ. ბანძელაძის სურათიდან

# ახალგაზრდობას

ცხოვრების გზაზე მენავეს
ტალღა სცემს ხმა-ონავარი.
სულის სიმტკიცე აქ გმართებს —
აი, რა არის მთავარი!

რაც ომმა ჩვენ მოგვაყენა
ჭრილობა სხვადასხვაგვარი
უნდა მოშუშდეს. აი რა,
აი, რა არის მთავარი.

მეცნიერება კი მზეა,
ფუძეა, მტკიცე ჯავარი,
შრომა, ცოდნა და სიმართლე—
გვწამდეს, ესაა მთავარი.

თუ ადამიანს გეტყვიან
მასზე ძვირფასი რა არი!
სახელი ადამიანის—
აი, რა არის მთავარი;

გეკაფოსთ — რაც უღრანია,
აგევსოთ — რაც ხარვეზია.
სამშობლო — არ დაივიწყოთ,
სამშობლო — უმთავრესია!

გალაკტიონ ტაბიძე



ნახ. დ. ხახუტაშვილისა

ვ. პაშინინი

# სპორტული სამკერდე ნიშანი

გამხდარი, პატარა ტანისა იყო ბიჭუნა. ცისფერი, ოქროსფერღილებიანი მუნდირი ეცვა, ცისფერივე შარვალი—ოქროსფერი ზოლებით. პატარა, მრგვალი ქუდი გვერდზე ეხურა. იგი მყის გაჩნდა გაჩერებული ავტობუსის წინ და თავისი პატარა ხელებით ჩაეჭიდა ორ ვეებერთელა ჩემოდანს. ოჰ, რა მძიმე იყო ჩემოდნები! ბიჭუნამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და გაჭირვებით აასცილა ჩემოდნები მიწას.

— მოიცა ერთი! წელს მოიწყვეტ!—შეაჩერა იგი ვიღაცის ხმამ.

ბიჭუნამ უცბათ იგრძნო შვება. ჩემოდნები აიტაცა ზორბა, მხარბეჭიანმა ვაჟკაცმა და სასტუმროს კარებისაკენ გასწია. ეს რა ხალხი ჩამოვიდა? ისინი რაღაც გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ. არც ინგლისურს გავს და არც ფრანგულს. ხელს ართმევენ მანქანის მძღოლს, ესალმებიან მოხუც კარისკაცს და ფრთხილად უვლიან გვერდს პატარა მტვირთავებს. საოცარი ხალხია! მაგრამ ღირს კი თავის მტვრევა იმაზე ფიქრით, თუ ვინ არიან ისინი? ისინი, ჯერ ერთი, უცხოელები არიან; მეორეც ის, რომ, ალბათ, ძალიან მდიდრები არიან, ვინაიდან სასტუმროს პატრონი მოკრძალებით და პატივისცემით უსმენს მათ. სასტუმროსთან უკვე თავს იყრის ხალხი ბლოკნოტებით ხელში.

— ჰო!—წამოიძახა ბიჭუნამ.—ავტოგრაფები! მე შევაგროვებ ბევრს! ძალიან ბევრს!

* * *

— იცი, მე ამ ბიჭუნამ თავი მომაბეზრა!—მიმართა ამხანაგს ერთ-ერთმა საბჭოთა სპორტსმენმა, როდესაც ისინი საწვრთნელი ვარჯიშის შემდეგ სასტუმროში ბრუნდებოდნენ.—მაგან თითქმის ასჯერ მოგვაწერინა ხელი ბლოკნოტში, გაზეთებიდან ამოჭრილ ფოტოსურათებზე, და კიდევ არ დაკმაყოფილდა. აი ისიც, ისევ ავტოგრაფებისათვის მოდის.

იგი შეეცადა თავის სიტყვებისათვის დამრიგებლური ტონი მიეცა და მიმართა ბიჭუნას:

— მე, რასაკვირველია, შემიძლია მოგიწერო ხელი. მაგრამ რისთვის? სახსოვრად საბჭოთა სპორტსმენებისაგან? უკვე თითქმის ყველა ჩვენგანმა მოგიწერა ხელი. მომეცი ბლოკნოტი. აი, ხედავ? პავლოვი, პშენიჩნოვი, სერგეევი, აი ჩემიც...—«გაიზარდე ძლიერი და ჯანმრთელი». „სალამი მოსკოველისაგან».

ბიჭუნა უსმენდა და აქნევდა თავს. შემდეგ ისევ გაუწოდა ბლოკნოტი: «ავტოგრაფი!»—წაილუღლუღა მან.

— აი, როგორი უცნაური ხარ შენ? უკვე დიდი ბიჭი ხარ და ასეთი არასერიოზული საქმისათვის მოგიკიდია ხელი. კარგი, მოიტა, მოგიწერო ხელი. რაო, აქაც? ამონაჭრებზეც? კარგი, თუ ძმა ხარ, თავი მომაბეზრე. ასე ხომ ვერასოდეს მოგიცილებ თავიდან.

ბიჭუნა გაჯიუტდა, ერთ ადგილას იდგა და ნაღვლიანი თვალებით, რომლებიც უდიდეს თხოვნას გამოხატავდნენ, მისჩერებოდა საბჭოთა სპორტსმენს. შემდეგ საცოდავად მოიბუზა, აახამხამა წამწამები, თვალები ცრემლით აევსო და ძალზე დაბალი ხმით წაიჩურჩულა:

— თუ შეიძლება... აბა რა მოხდება?.. თუ შეიძლება...

— რა მოგდის ბიჭიკო?—დაბნეულმა სპორტსმენმა ბიჭუნას ხელი მხრებზე მოხვია.—რადგან ასეა, მომეცი, დაგიწერ რამდენიც გინდა.., იქნებ გსურს სამკერდე ნიშანიც გაჩუქო? აი, ჩემი სამკერდე ნიშანი...

მან მოიხსნა თავისი სპორტული კლუბის სამკერდე ნიშანი და ბიჭუნას ხელისგულზე დაუდო. ბიჭმა წამსვე მოკუმშა თითები და ნიშანი ჯიბეში იკრა.

— დამალე? შენ რაღაც ცუდი ჩვევები გაქვს... მაგრამ, კარგი, კარგი, კმარა! ეჰ! განა გაიგებს თქვენსას კაცი?

ბიჭუნა მარტო დარჩა. კარებს უკან კუთხეში მიიკუნჭა და ჩაფიქრდა. მთელი დღის განმავლობაში ძალზე ცოტა ფული იშოვნა... ვიღაც მსუქან ბატონს ჩემოდანი წაუღო... ჭაღარა, ბრაზიან ქალს კატლეტი მიუტანა... ფულის ნაწილს სასტუმროს პატრონი წაიღებს, მას კი თითქმის აღარაფერი დარჩება.

სამაგიეროდ ხვალ... რუსი სპორტსმენების ავტოგრაფები... ფულის შოვნის იმედმა სახე გაუნათა—იგი ხომ მათს ავტოგრაფებს გაჰყიდის და ფულსაც იშოვის. რასაკვირველია! ყველა გაზეთები რუსების შესახებ წერენ. ყველანი რუსებზე ლაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოზენ. დრო უნდა ვიხელთო. რა იქნება სამკერდე ნიშანიც რომ გავყიდო? ლამაზია... მაგრამ რას გააწყობ... ფული უნდა ვიშოვო. მაგრამ ჯერ ადრეა, ვიკითხავ რა სწერია სამკერდე ნიშანზე.

— ო!—წამოიძახა მოხუცმა დარაჯმა, როცა საბჭოთა სამკერდე ნიშანი დაინახა. მან ცხვირსახოცით გაიწმინდა ხელები და ფრთხილად, თითქოს გასატეხი ნივთიაო, აიღო პატარა ემბლემა. დიდხანს ატრიალა, ბევრჯერ შუბლი შეიჭმუხნა, რამდენჯერმე სათვალეც გაისწორა, შემდეგ უიმედოდ ამოიოხრა და სთქვა:

— ეს ასოები ჩემთვის უცნობია, მაგრამ ნახე! აქ ნამგალი და ჩაქუჩია. ზევით კი ვარსკვლავი. ეს, მე მგონია, უსიტყვოდაც გასაგებია.

იგი გაჩუმდა, შემდეგ ჩაფიქრდა და წყნარად წარმოსთქვა:

— ამბობენ მათ ქვეყანაში სიცივეა, ტყეებში თოვლი ძევს, ხალხი კი პირქუში და მკაცრია, ქურქებში დადიანო. რაღაც ასე არ უნდა იყოს. ესენი სხვანაირები არიან,—მოხუცმა თითი ასწია და ხმადაბლა წაიჩურჩულა,—ესენი იმ ხალხს გვანან, რომლებსაც ბედი ულიმით. მომისმინე, ჩემო ბიჭუნა, მაჩუქე ეგ ნიშანი!

— ისინი სხვანაირები არიან? როგორი?

— დინჯები, ლამაზები, გულადები, ეგენი ალბათ ყველას დაამარცხებენ.

— წავიდეთ, ვნახოთ!

— უჭკუო! ბილეთები ხომ ძალზე ძვირია! აბა ჩვენ სადა გვაქვს ამდენი ფული!

— ჰე! მე ვიშოვი! მე ვიცი, როგორ ვიშოვო!

* * *

ბიჭუნამ იპოვა მოხერხებული ადგილი სპორტულ დარბაზში შესასვლელთან.

— ეს რუსი დღეს ჩემპიონი გახდება! ავტოგრაფი! — რიხიანად გაჰყვიროდა ბიჭი.

უცბათ ვიღაცის მძიმე ხელი დაეშვა მის მხარზე:

— ვაჰრობ?—გაიგონა მან უცნობი სიტყვა, მაგრამ ხმის ტონით მიხვდა მის მნიშვნელობას.—აკი სახსოვრად გინდოდა... ეეხ!..

— სერ, მისტერ... ის...—ჩაერია საუბარში მოხუცი მეკარე, მაგრამ რუსი სპორტსმენები ჩქარი ნაბიჯით შევიდნენ დარბაზში.

შეჯიბრი დაიწყო. ისინი სხედან მაღლა, დარბაზის კუნჭულში. ბიჭუნა ხარბად უყურებს წითელ მაისურებიან ჯან-ღონით სავსე სპორტსმენებს. იგი საბჭოთა სპორტსმენის ყოველ გამარჯვებას აღფრთოვანებით ხვდება; ხტის, მაგრად სცემს ტაშს და ყვირის: «ვაშა!» ეს წკრიალა ხმა ესმით საბჭოთა სპორტსმენებს. ისინი იყურებიან ბავშვისაკენ, იღიმებიან თბილი, გულკეთილი ღიმილით.

— კეთილები და გულისხმიერები არიან,—ჩურჩულებს .მოხუცი,—იბედნიერეთ!

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ისინი დიდი წვალებით ავტობუსთან გაჩნდნენ. საბჭოთა სპორტსმენები ქალაქიდან მიემგზავრებოდნენ. მათი ნახვა აუცილებელია, აუცილებელი! აი, ისინიც მოდიან. მხარბეჭგაშლილი, დაღლილები, მაგრამ გამარჯვებული, ამაყი სახეებით, და ბიჭუნამ ისე, რომ თვითონაც ვერ გაიგო როგორ მოხდა ეს, უცბათ იგრძნო თავისი ბავშვური გულით, რომ ეს შეიძლება, საჭიროა... გაექანა და მოეხვია კისერზე მას, რომელმაც სამკერდე ნიშანი აჩუქა.

— ჩვენ ვიყავით დარბაზში... ბილეთები... აი, ბილეთები... ჩვენ ესენი ვიყიდეთ იმ ფულით,—არეულად და აჩქარებით ლაპარაკობდა ბიჭუნა,—ო, თქვენ რომ დარჩებოდეთ... მე თქვენ გაჩუქებდით ყვავილებს, ლამაზ ყვავილებს... თქვენ გამიგეთ მე?

მან ყველაფერი გაიგო. ღიმილი უცბათ მოსცილდა მის სახეს იგი ჩაფიქრდა.

— ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო ბიჭუნა! მე ყოველთვის მეღახსოვრები შენ. ჩვენს ბავშვებს, ჩვენს პიონერებს მოვუყვები შენს შესახებ, შენ გეყოლება ბევრი, ძალიან ბევრი კარგი მეგობარი. ნუ დაგვივიწყებ, პატარა ამხანაგო!

მან ბიჭუნას მაგრად ჩამოართვა ხელი, როგორც ვაჟკაცს.

ავტობუსი წავიდა. ბიჭუნა დიდხანს მისდევდა მას. მოხუცმა კი ქუდი მოიხადა და დიდხანს უქნევდა საბჭოთა სპორტსმენებს. ისინი დაღონებულები დაბრუნდნენ სასტუმროში. ბიჭუნამ კვლავ ჩაიცვა ცისფერი მუნდირი ოქროსფერი სამხრეებით და ღილებით, ცისფერი შარვალი ოქროსფერი ზოლებით, და პატარა მრგვალი ქუდი დაიხურა.

სტუმრები არ ჩანდნენ. იგი კარებთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა და ჯიბიდან სამკერდე ნიშანი ამოიღო. მასზე კიაფობდა ნამგალი და ჩაქუჩი, ოდნავ ზევით კი—ვარსკვლავი. ბიჭუნა უყურებდა ნიშანს და მისი ფიქრები მიჰქროდნენ სულ შორს... შორს... მას ეჩვენებოდა, რომ მიდის ძლიერ საბჭოთა ადამიანთან ერთად, და ყოველი მხრიდან სიხარულით ესალმებიან შორეული მხრის გოგონები და ბიჭები. იქვე ახლოს კი მოხუცი იდგა ფიქრებში გართული და ხანდახან ტკბილად იღიმებოდა.

თარგმანი **ზურაბ ოგოლაძისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. გ. ფოცხიშვილისა

გიორგი ლეონიძე

# ნაკადული

ნაკადული მორბოდა
ვით ირემი ქორბუდა.
ნაკადული მოქროდა,
გადამდნარი ოქროდა.

კოკორგახსნილ ვენახებს,
ყანებს ეჩქროლებოდა,
პირნათელა, მზეთვალა,
ზღვისკენ ეჩქარებოდა.

მთვარის სხივს თუ ჩამოჰყვა,
ბროლტანა და მინარი,
მარგალიტის ნაწვეთი,
ბროლის დანადინარი.

დალიეთ, შეიმხევეთ
შემრგო, ტკბილი, ანკარა;
თვისი წმინდა გულიდან
ხალხმა ააწანწკარა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენგსტონ ჰიუზი

ნახ. ალ. ვეფხვაძისა

# როდესაც შავი წითელი გახდება

— მე წითელი არა ვარ, — დაიწყო სიმპლმა და მუშტი დახლს დაჰკრა, — მაგრამ ხანდახან ისე გამახელებენ, რომ ნაკვერცხალივით გავწითლდები.

— რა მოხდა? — ვკითხე მე.

— რა და, როცა ის ხალხი, ვისთვისაც ჩვენ ვმუშაობთ, მსჯელობას დაიწყებს, ნაკვერცხალივით ვიქცევი ხოლმე. ამას წინათ შემოდის ბოსი * და მეუბნება: — როგორ მუშაობ, სახელოები რას ჩამოგიშვიაო. მე კი უბრალოდ ჩემს ჯოისზე ფიქრმა გამიტაცა. ვეუბნები: — „ვერა ხედავთ, დაკარწახებული ვარ-მეთქი". ის კიდევ თავისსას გაიძახის: — „განა ვერა ვხედავ, რომ ძველებურად აღარ გსურს მუშაობა". მე ვუპასუხებ: — „რა ჩემი ბრალია, თუ კი დოლარსაც აღარ სურს იმდენი რამე იყიდოს, რამდენსაც ძველად ყიდულობდა. მეტი გადამიხადე და მეც უფრო მეტს ვიმუშავებ-მეთქი".

— რაო, მერე, რა გიპასუხა?

— „შენო, ნამდვილი წითელივით ლაპარაკობო". მე ვეკითხები: — „ნეტა „წითელი" რას ნიშნავს-მეთქი?". იგი მიპასუხებს: — „თვითონვე მშვენივრად იცი, რასაც ნიშნავს, წითელი — კომუნისტიაო; შენგან არ მოველოდი ამას, და ისიც როდის? როდესაც ჩვენმა ქვეყანამ იმდენი რამ გააკეთა თქვენთვის, ზანგებისათვისო". მე ვეუბნები: — „ჩემი აზრით, სულერთია როგორი ფერისაც იქნება ადამიანი, ოღონდ ლურჯი ნუ იქნება. მეც დიდი ხანია მკვდარივით გავლურჯდებოდი, რომ უფლებებისათვის არ მებრძოლა-მეთქი". ის კიდევ: — „ასეთი უფლება არსად არ არსებობს — ხელფასი მიიღო და არ იმუშავოო". ამაზე მე ასე ვუპასუხე: — „მიმუშავნია, ვმუშაობ და მომავალშიაც ვიმუშავებ, მაგრამ ადამიანს ხომ სჭირდება ჭამასმა, ჩაცმა-დახურვა და თავშესაფარი? მე კი ლამის სული გამძვრეს. როგორა გგონიათ, მაქვს მე სული?" ბოსი გაცხარდა: — „შენი სული მე რაში მეკითხება! ადექი და იმუშავე. კომუნისტივით მსჯელობას ნუ მოჰყვები, ჩემს ფაბრიკაში კომუნისტებს ვერ ავიტანო!" მე ვეუბნები: — „სულ ცოტა ხნის წინათ შავებს ვერ იტანდით, ახლა წითლებს ველარ იტანთ, რა მოგივიდათ, შეშლილობა ხომ არა გაქვთ ფერებზე-მეთქი". ამან ხომ სულ მთლად გააცოფა. „ჩემთან ექვსი ზანგი მუშაობს!" — დაიღრიალა მან. „მართალია, ექვსი ზანგი მუშაობს, — დავუდასტურე მე, — მაგრამ, სამაგიეროდ, ექვსასი მუშიდან, და ის ექვსიც იმიტომ აიყვანეთ, რომ ომის დროს სხვა ვერავინ იშოვეთ. ახლა ისიც ვთქვათ, რა სამუშაოს გვაძლევთ? — ყველაზე ჭუჭყიანს. რამდენს გვიხდით? — ყველაზე ნაკლებს. თქვენ რაში გენაღვლებათ ზანგები! მზად ხართ, თუნდა ახლავე გამაძევოთ. რა გაეწყობა, თუ დამითხოვთ, მაშინ კი ნამდვილად გავხდები წითელი, ისედაც ნაკვერცხალივით ვარ გავარვარებული. მაგრამ ერთი სინჯეთ და გამაგდეთ! მაშინვე პროფკავშირს შევატყობინებ". — „წადი, მუშაობა განაგრძე", — მითხრა ბოსმა და უკანმოუხედავად წავიდა. პროფკავშირთან უსიამოვნებას ერიდებოდა. მე კი, ჩემო ძმაო, მართლაც რომ გავცეცხლდი.

— ამის შემდეგ მართლა წითელი ეგონები, — ვუთხარი მე.

— რათა, იმიტომ, რომ ხელფასის გადიდებას ვთხოულობ?! სამუშაო? განა მარტო წითლებს სჭირდებათ მუშაობა? განა მარტო წითლებისა ეშინიათ მეპატრონეებს?..

— რას მიღრიალებ? მე ხომ შენი დამქირავებელი არა ვარ!

— რა ვიცი, შენც ისე ფიქრობ! შენი აზრით, თუკი თეთრისათვის არ მუშაობ...

— კიდევ ეს რასობრივი პრობლემები! მეტისმეტად მგრძნობიარე გამხდარხარ.

— მე შავი ვარ, — მითხრა სიმპლმა, — მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, წითელი გავხდები. ლურჯი კი არასოდეს ვიქნები, მერწმუნეთ! და ჩემი უფლებების დაცვასაც არ მოვეშვები, მანამ ქვეყანა არსებობს.

— ფრთხილად, თორემ ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიაში წაგაჩიქჩიქებენ.

— მით უკეთესი, ნეტავ მართლაც დამიბარებდეს ის ბებერი სამხრეთელი თავმჯდომარე. იმდენს ვეტყვი, რომ მოსმენის ხალისს დავუკარგავ.

— მაინც რას ეტყვი?

— მაგალითად ასე ვეტყვი: — „თქვენო კეთილშობილებავ, უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამერიკაში დავიბადე და ამერიკაში ვცხოვრობ; რა ვუყოთ რომ ზანგი ვარ — ეს სულაც არ მიშლის ხელს, ამერიკელი ვიყო. მე დემოკრატიულ პარტიაშიაც კი შევედი". მერე ასეთ შეკითხვას მივცემ: — „ეს როგორღა მოხდა, თქვენო კეთილშობილებავ, რომ ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევ კომისიაში არც ერთი ზანგი არა გყავთ?"

— მაგაზე ჯორჯიელი* ბებერი თავმჯდომარე ასე გიპასუხებს: — „ეს ხომ ამერიკული წესი არ იქნებაო".

— მაშინ მეც ვეტყვი: — „ორთქლმავლის მემანქანედ ყოფნაც არა-ამერიკულია? ჩემს დღეში არ შევხვედრივარ ზანგ მემანქანეს. რკინიგზაში მომუშავე ზანგებს ნება აქვთ მხოლოდ ვაგონები დაგავონ და მგზავრებს ლოგინი გაუშალონ. ეს არის ამერიკული წესრიგი?

— თავმჯდომარე გიპასუხებს: — „დიახ, დაგვა — ამერიკული გახლავსო".

— „კეთილი, — ვუპასუხებ მე, — ჩამთვალეთ ანტიამერიკელად, ოღონდ მე მინდა, რომ ორთქლმავალი ვმართო".

— „შენ, გეტყობა, ერთი იმათგანი ხარ... წითელი, რუსი?" — გეტყვის ბებერი თავმჯდომარე.

— მე ვუპასუხებ: — „არც ისა ვარ, არც ესა. — მე, ისევე როგორც თქვენ, სამხრეთში დავიბადე. მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს სამშობლოში შავკანიანების ვაგონით დავბრუნდე. არც კონდუქტორობა მინდა, თუნდაც რბილ ვაგონში. მე მსურს ოდესმე მემანქანე გავხდე".

— „შენ წითელი ხარ, რუსი ხარ, — დაგიღრიალებს თავმჯდომარე, — შენ ჩვენი ქვეყნის დანგრევა გსურს"!

— „თქვენო კეთილშობილებავ, — ვუპასუხებ მე, — უნდა მოგახსენოთ, მართლაც არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, ჩვენი ქვეყნის ნახევარი მაინც რომ შეინჯღრეოდეს, განსაკუთრებით სამხრეთი მხარე** — ვირჯინიიდან მოკიდებული მობილამდე, — რათა შემდეგ ხელახლა ავაშენოთ".

— „სასამართლოს შეურაცხყოფისათვის ეს უბადრუკი ზანგი გაათრიეთ!". — დაიღრიალებს თავმჯდომარე.

---

* ამ შემთხვევაში ფაბრიკის მეპატრონე.

* ჯორჯია — სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთი შტატია.

** ზანგების დევნა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ამერიკის სამხრეთ ნაწილში ღებულობს ხოლმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**— ჩემი აზრით სულ ერთია, როგორი ფერისაც იქნება ადამიანი.**

— „თქვენო კეთილშობილებავ, — ვეტყვი მე, — ეს არის წითელი მიწოდეთ, რუსი მიწოდეთ, ახლა ისევ შავი და ზანგი გავხდი? ბოლოს და ბოლოს ვინ ვარ, მითხარით“.

— „ერთიც და მეორეც“,—გიპასუხებს თავმჯდომარე.

— „მაგრამ რისთვის? მხოლოდ იმისათვის, რომ მემანქანეობა მსურს?“

— „დიახ, სწორედ იმიტომ, რომ მემანქანეობა გსურს. ჩვენი ქვეყანა — თეთრი ხალხის, თეთრი მემანქანეების ქვეყანაა. შენთვის თეთრების ვაგონებით მოგზაურობაც არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში იქ, საცა მე დავიბადე“.

— „წითლებისათვის, რუსებისათვის?—ვკითხავ მე,—იმათთვისაც განსაკუთრებული ვაგონები გაქვთ?“

— „ჯერ არა, მაგრამ გავატარებთ თუ არა ჩემს კანონს იმათთვისაც გვექნება“.

— „მე რომელში ვიქნები მაშინ,—ვკითხავ მე,—წითლების ვაგონში, თუ შავების ვაგონში?“

— „არც ერთში, არც მეორეში,—გიპასუხებს თავმჯდომარე,—შენ ციხეში იქნები“.

— „მაშინ სულ აგიფორიაქებთ თქვენს ციხეს, რადგან მე უფლება მაქვს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ვიბრძოლო“.

— „სასამართლოს შეურაცხყოფაა!..“ — დაიღრიალებს თავმჯდომარე...

... მაგრამ იძულებული გავხდი ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის ეს გათამაშებული სხდომა შემეწყვიტა, რადგან ბარის მეპატრონემ უცებ სამჯერ ზედიზედ ჩააქრო და ისევ აანთო სინათლე და ამით ხალხს ნიშანი მისცა შინ წასვლის დროაო.

— გამიგონე, — მივმართე ჩემს მეგობარს, — შენ ახლა მთვრალი ხარ, ხოლო სიმთვრალეში ძალიან უბრალოდ გეჩვენება ყველაფერი. სინამდვილეში ისე უბრალოდ როდია საქმე.

— არც მე ვარ ისე უბრალო,—მიპასუხა სიმპლმა.

თარგმნა ვახტანგ ჭელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

ნახ. კ. მახარაძისა

# ძია დათას მეგობრები



I

შემოდგომის სიო ჰქროდა,
სიო თბილი,
სიო ნელი.
ქუჩის პირას,
ჭადრის ხესთან,
იდგა ერთი პიონერი.
ზურგით იყო მიყრდნობილი
ტოტებგაშლილ ზვიად ჭადარს,
მოლიმარი,
უდარდელი
რეზო-ბიჭი თხილსა ჭამდა.

თხილსა ხრავდა, როგორც თაგვი,
და... ნაჭუჭებს ყრიდა გზაზე.
ჩანდა, რომ არ იტაცებდა
მას თბილისის სილამაზე.



ამ დროს მგზავრმა ჩაიარა
და ნაბიჯიააჩქარა,
ხიფათს თავი აარიდა,
ვით უგულომ და ლაჩარმა.

ამხანაგო პიონერო,
აბა შესდექ ერთის წამით,
და იფიქრე:
იმ ონავარს
არ შეუწყე ხელი ამით?

მისმა ქცევამ უხეირომ
გულზე რომ არ გაგკრად მწვავედ,
ამიტომ ხარ დამნაშავე,
მასზე მეტად დამნაშავე.

შერცხვი: ნახე რომ მივიდა
მასთან ბიჭი — ტოლი შენი,
და შესძახა: — ასეთი რამ
ნორჩ ლენინელს როდი შვენის!

რეზომ ნელა დაუსტვინა:
— შენ ვინა ხარ, ჰაუ, ვინა?

— მე ნიკა ვარ, კარგად იცი,
შენი კარის მეზობელი!
— მერე, ბიჭო, სად ისწავლე
ლაპარაკი ეგზომ ბევრი?

— მე არ ვხუმრობ, მეგობარო.
ნაჭუჭს ჰყრიან განა გზაზე?
სხვა თუ არა,
მეეზოვის
ჯაფა მაინც დაიფასე!

რეზომ ნიკა გააჯავრა:
— გეყო, ენა დაასვენე!
თუმცა... იქნებ ამ ქუჩაზე
მეეზოვედ დაგაყენეს?

ვინძლო მგზავრებს ცოცხის წვერით
აქეთ გავლაც დაუშალო...
— ძმავ, არ არის სამარცხვინო
მეეზოვის სამუშაო;

შენ კი ახლა მართლაც არცხვენ
პიონერის ნათელ სახელს,
არცხვენ სკოლას, მასწავლებლებს,
მშობლებსა და... ამ ყელსახვევს!

მაშინ რეზო გაგულისდა
ჰოი, ისე გაგულისდა,
რომ ამხანაგს მისი ხელი
დიდხანს აჩნდა აგურისფრად.

II.

ასეთია ნიკა - ბიჭი:
პირდაპირი,
პირშიმთქმელი.
და ამაყობს ყველგან იმით,
რომ ის არის თბილისელი.

განა სიტყვით,
განა ისე,
მას თბილისი უყვარს გულით,
უმხურვალეს სიყვარულით,
ულამაზეს სიყვარულით.

თუ კი ნახა რომ ქუჩაზე
ვინმემ ნამწვი გადააგდო,
ქუდმოხდილი მივარდება:
— გეკადრებათ, ამხანაგო?

და თუ ვინმემ მწვანე ნარგავს
ერთი ყლორტიც შეატეხა,
იმ საბრალოს ჩვენი ნიკა
დაატყდება ელვა-მეხად.

მასზე სწორედ ალალია
ალისფერი ყელსახვევი!
„მეეზოვის მეგობარი" —
აი, მისი მეტსახელიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეეზოვე ძია დათა
სამეგობროკია მართლა!

თოვლისფერი წვერები აქვს
და ღიმილი გაშკრავს სათნო:
— მოდის, მოდის ძია დათა,
გზა, ხალხო და ჯამაათო!

ის არ არის ტანმაღალი,
არც ძალიან ტანმორჩილი,
ხუმრობს ხშირად:
— ცოცხისათვის
ვარ პირდაპირ გამოჭრილი.

ხუმრობს, მაგრამ კარგად იცის
მან თავისი გარჯის ფასი,
და ამიტომ ადრე დგება,
ვით თბილისის გარიჟრაჟი.

თავის შრომით ბედნიერი
ძია დათა მღერის, მღერის.

ღამეა თუ ჟამი დილის,
მეეზოვე შესტრფის თბილისს,
და თბილისსაც უხარია,
ის რომ ცოცხით ჩამოივლის.

ჩემს უბანშიც ყოველ მცხოვრებს
უყვარს მისი გამოჩენა,
როგორც ნიკას —
ძია დათას
ღიმილი და ამო ენა.

თავის ფრონტზე ძია დათა
გმირი არის, დიახ, მართლა.

დედაქალაქს უსათუოდ
ამჩნევია მისი ხელიც!—
მე ამაზე დასტურს მომცემს,
ვფიქრობ, ყველა თბილისელი.

III.

ნიკას არსად უჩივლია,
მაგრამ მიხვდა გულში რეზო;
რომ მეზობელს აწყენინა
უსამართლოდ,
უმიზეზოდ.

მიხვდა იგი:
თვითეული, —
ახალგაზრდაც,
ბერიკაციც,
რომ გუშაგი უნდა იყოს
სანიმუშო წესის დაცვის.

მიხვდა იგი,
მეეზოვეს
აკისრია თუ რა ვალი,
დღეს თვით იცავს სისუფთავეს
და უჭირავს მუდამ თვალი,

რომ ქუჩაზე გამვლელებმა
არაფერი არ დაშყარონ.
მუდამ იმის ცდაში არის
მეეზოვე გაახაროს.

რეზოს ნიკაც არ ემდურის,
დაივიწყა წყენა ნიკამ,
როგორც მითხრეს,
ყმაწვილები
მეეზოვემ შეარიგა.

და ხვდებიან ახლა ერთმანეთს
ასე თავაზიანადა:
— გამარჯობათ, მეგობრებო!
— გაგიმარჯოს, ძია დათა!..



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. ლადო გუდიაშვილისა

როდიონ ქორქია

# უდარდელი კაცი

ზღაპარი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი უდარდელი კაცი. პატარა ფაცხა ედგა. ის ფაცხაც მამის დადგმული იყო. მის ეზოში ძაღლი არ ჰყეფდა, ცხენი არ ჭიხვინებდა, ქათამი არ კაკანებდა. ჭაც კი არა ჰქონდა უდარდელ კაცს და წყალი მეზობლებისგან მოჰქონდა ცოლს.

6604

უდარდელი კაცი სულ იმის ზრუნვაში იყო, ვისთან ეჭამა პური. დიდხანს ითმინეს მეზობლებმა, დიდხანს აჭამეს პური. ბოლოს მობეზრდათ და გამოუკეტეს კარი. უდარდელმა კაცმა იფიქრა სხვა სოფელში წავალ, იქ მაჭმევენო. დატოვა ცოლშვილი და გაუდგა გზას.

მიდის უდარდელი კაცი და მიიმღერის. გზად ერთი წითური კაცი შემოხვდა.

— გამარჯობა, უდარდელო კაცო!—უთხრა წითურმა კაცმა.

— შენ რა იცი, მე ვინა ვარ?—ჰკითხა უდარდელმა კაცმა.

— როგორ არ ვიცი,—უპასუხა წითურმა კაცმა.—ორი დღეა არაფერი გიჭამია და მაინც მღერი.

— თუ ასე მისანი ხარ, ისიც გეცოდინება, როგორ ვიცხოვრო უდარდელად,—გაიცინა უდარდელმა კაცმა.

— ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა,—გაიცინა წითურმა კაცმა.—იშოვე ბევრი ოქრო და იცხოვრებ უდარდელად.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ მე ბევრ ოქროს ვინ მომცემს, როცა ცოტაც არა მაქვს?—გაიცინა უდარდელმა კაცმა.

— ოქროს მე მოგცემ, თუ სარგებელს გადაიხდი.

— კეთილი და პატიოსანი,—უპასუხა უდარდელმა კაცმა, გულში კი გაიცინა,—იმ ოქროებს დავხარჯავ და რაც არ მექნება რას გადამახდევინებს?

— აჰა ოქროები!—უთხრა წითურმა კაცმა და ჯიბიდან ბლუჯა-ბლუჯა ოქროები ამოიღო.—ოღონდ სარგებელი უნდა მომცე.

— სარგებელში რა მოგცე?—ჰკითხა უდარდელმა კაცმა.

— ბევრი არაფერი,—გაიღიმა წითურმა კაცმა,—სადაც კი დამინახავ უნდა გაიცინო.

— ეს რა სულელი ვინმე ყოფილა?—გაიფიქრა უდარდელმა კაცმა.—სიცილი რა სარგებელია?

დათანხმდა.

— პირობა პირობაა,—დასძინა წითურმა კაცმა,—თუ სარგებელს არ გადაიხდი, ყველაფერს, რასაც ჩემი ოქროთი შეიძენ, ცეცხლი შთანთქავს.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი,—მტკიცედ უპასუხა უდარდელმა კაცმა და დაშორდნენ ერთმანეთს.

უდარდელი კაცი თავის სოფელში დაბრუნდა. ისეთი სახლი დაიდგა, უკეთესი იმ სოფელში არავის ედგა. ეზოს მაღალი ღობე შემოავლო. ისეთი ღრმა ჭა გათხარა, რომ დღისით შიგ ვარსკვლავიანი ცა მოჩანდა. ახალი ხეხილი დარგო. მამისეული ფაცხა კი ეზოს უკანა კუთხეში გადაიტანა და საქათმედ აქცია. ყველაფერი ეს ისე გააკეთა, რომ თითი არ გაუნძრევია. ჰქონდა ოქრო და ამუშავებდა სხვას.

სახლი რომ დაიდგა, ისევ ისე განაგრძო უდარდელი ცხოვრება.

— კაცო, გამოიღე ხელი. ქონება გვაქვს, მოვლა უნდა, პატრონობა უნდა,—უთხრა ცოლმა.

— აი დარდი, თუ მოვლა უნდა!—უპასუხა უდარდელმა კაცმა,—დღეს ქეიფი უნდა გავმართო.

— რა დროს ქეიფია, კაცო? დღეს ორშაბათია.

— აი დარდი თუ ორშაბათია!—გაიცინა უდარდელმა კაცმა.

შემოიჩვია უდარდელმა კაცმა მოქეიფეები და ბოლო არ უჩანდა ღრეობას.

## 2

გავიდა დრო-ხანი. სოფელი შრომობდა, უდარდელი კაცი კი ისევ ისე უდარდელად ცხოვრობდა. რა ბედნიერი ვარო, ფიქრობდა უდარდელი კაცი, უშრომლად ვცხოვრობო. ან ის წითური კაცი რა სულელი ყოფილა? ოქრო მომცა და გადაიკარგაო. ან რა უცნაური სარგებელი მომთხოვა? სადაც კი დამინახავ, გაიცინეო. სიცილის მეტს რას ვაკეთებ?..

ერთ დღეს მეზობლის სახლს ცეცხლი წაეკიდა, მთელი სოფელი მოვარდა მისაშველებლად. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი ცდილობდნენ ჩაექროთ ცეცხლი.



-- მე ვიღუპები, ეს კი იცინის? — გაბრაზდა მეზობელი და კინაღამ მოჰკლა უდარდელი კაცი.

— წამო, კაცო, მეზობელი იწვის, დავეხმაროთ!—უთხრა ცოლმა.

— აი დარდი თუ იწვის!—უპასუხა უდარდელმა კაცმა, მაგრამ ცოლმა წაავლო კისერში ხელი და ძალათ წაიყვანა ჭიშკრისაკენ. ჭიშკართან კი მორიდებით ამოუდგა ქმარს გვერდით და ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ მეზობლისაკენ.

უცებ, სად იყო, სად არა, წითური კაცი გაჩნდა და უდარდელ კაცს სარგებელი მოთხოვა.

შეიკრა წარბები უდარდელმა კაცმა. გაიცინოს? მეზობელი იწვის. არ გაიცინოს? ვაი თუ მის სახლსაც მოედოს ცეცხლი? აკი უთხრა წითურმა კაცმა, თუ არ გაიცინებ, რასაც ჩემი ოქროთი იშოვი, ცეცხლი შთანთქავსო.

და უდარდელმა კაცმა სიცილი დაიწყო.

— მე ვიღუპები, ეს კი იცინის?—გაბრაზდა მეზობელი და კინაღამ მოჰკლა უდარდელი კაცი.

ვინ რა იცოდა, თუ რა სარგებელი უნდა გადაეხადა უდარდელ კაცს? ეს მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა: წითურმა და უდარდელმა.

გავიდა დრო-ხანი. უდარდელი კაცი ისევ-ისე უდარდელად განაგრძობდა ცხოვრებას. ისევ-ისე ეხვივნენ არიფები, რომელნიც სვამდნენ, ჭამდნენ და ღრეობდნენ უდარდელის ხარჯზე. თან ქებას ასხამდნენ უდარდელ კაცს.

— ყოველი სულელი პოულობს უფრო დიდ სულელს, რომელიც მას აქებს,—სთქვა სოფელმა,—არ გათავდება კარგად უშრომელი კაცის ცხოვრება.

მაგრამ თვითონ სოფელს დაატყდა თავზე უბედურება: ადიდებულმა მდინარემ ჯებირი გაარღვია და შემოვარდა სოფელში. დიდი და პატარა, ქალი და კაცი გამოვიდა ჯებირის შესაკეთებლად.

— წამოდი, კაცო! ჯებირი გაარღვია მდინარემ, — უთხრა ცოლმა უდარდელ კაცს.

— აი დარდი თუ გაარღვია!—უპასუხა უდარდელმა კაცმა, მაგრამ ცოლმა წაავლო კისერში ხელი და ძალათი გაიყვანა ჭიშკარში. ჭიშკართან კი მორიდებით ამოუდგა გვერდით და ჩქარი ნაბიჯით გასწიეს ჯებირისაკენ.

უცებ, სად იყო, სად არა, ზედ ჯებირთან წითური კაცი გაჩნდა და უთხრა: სარგებელი მომეციო.

შეიკრა წარბები უდარდელმა კაცმა. გაიცინოს? ხომ სამუდამოდ შერცხვა ამდენ ხალხში? არ გაიცინოს? ვაი თუ დაეკარგოს უდარდელი და უშრომელი ცხოვრება?

და უდარდელმა კაცმა სიცილი ამჯობინა.

— ჩვენ წყალში ვწყდებით, ეს კი იცინის? გააგდეთ ეს წყეული!—იყვირა გაბრაზებულმა ხალხმა და გააგდეს უდარდელი კაცი.

ვინ რა იცოდა, თუ როგორი სარგებელი უნდა გადაეხადა უშრომელი ცხოვრებისათვის უდარდელ კაცს? ეს მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა: წითურმა და უდარდელმა.

4

კიდევ გავიდა დრო-ხანი. სოფელი ისევ-ისე შრომობდა. სოფლისგან გარისხული უდარდელი კაცი ისევ-ისე უდარდელად ცხოვრობდა. ეს კია, რომ ახლა არიფები ჩამოშორდნენ. ყველას ესირცხვილებოდა პურის გატეხა ისეთ კაცთან, რომელსაც სოფლის ავ-კარგის დარდი არა ჰქონდა. მაგრამ უდარდელ კაცს ეს არ აწუხებდა.

— ბოლოს და ბოლოს რა მოხდა?—უთხრა მან ცოლს.—ვის რა დავუშავე ჩემი სიცილით? ყველამ ისე იცხოვროს, როგორც უნდა.

მაგრამ ვერ იცხოვრა უდარდელმა კაცმა ისე, როგორც უნდოდა. შვილი გაუხდა ავად. ექიმებმა ვერაფრით უშველეს. უდარდელი კაცის გულში დარდი შეიჭრა და სარკესავით გაზზარა. საშინელი ტკივილი იგრძნო.

არ ეგონა უდარდელ კაცს, რომ სოფელი გაიზიარებდა მის დარდს. მაგრამ ხალხი სულგრძელი აღმოჩნდა. მოვიდნენ, მოიკითხეს, ბავშვს სათამაშოები მოუტანეს. მაგრამ ბავშვმა ხელიც ვერ მოჰკიდა სათამაშოებს. უკვე თვალი ეხუჭებოდა. მწარედ ტიროდა უდარდელი კაცი. ეს პირველი ცრემლები იყო მის ცხოვრებაში. ცრემლები წვერებს ეცემოდა და სადაც ეცემოდა თეთრ კვალს სტოვებდა.



უცებ, სად იყო, სად არა, ზედ ჯებირთან წითური კაცი გაჩნდა და უთხრა: სარგებელი მომეციო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და' უდარდელმა კაცმა გაბრაზებით უპასუხა წითურ კაცს
— არ გადავიხდი სარგებელს! არა!

უცებ, სად იყო სად არა, წითური კაცი გაჩნდა, ღიმილით მივიდა უდარდელ კაცთან და უთხრა: სარგებელი მომეციო.

შეიკრა წარბები უდარდელმა კაცმა. რა ჰქნას? გაიცინოს? გაბზარული გული არ შვება, არ გაიცინოს? ხომ დაეკარგა უდარდელი ცხოვრება?

გააკრთოლა უდარდელ კაცს.

— სარგებელი მომეცი! — გაიმეორა წითურმა კაცმა და ისევ გაიღიმა.

როგორც ცეცხლის ალი მოედება ბურბუშელას, ისე მოედო ბრაზი უდარდელ კაცს. ამ წითურ კაცს რა შავი სინიდისი ჰქონია? მეზობელი გადაუმტერა, სოფელს გამოსთიშა, ახლა ტაკიმასხარად უნდა გახადოს მომაკვდავი შვილის ლოგინთან?

და უდარდელმა კაცმა გაბრაზებით უპასუხა წითურ კაცს:

— არ გადავიხდი სარგებელს! არა!

მაშინ წითურმა კაცმა ხელი გაიშვირა უდარდელი კაცის ეზო-სახლისაკენ. თვალის დახამხამების უმალ ცეცხლი მოედო ოდა-სახლს, ბეღელს, ფარეხს, ღობეს. ცეცხლი მოედო ხეხილს. ცეცხლი მოედო ჩაკირულ ჭასაც. ადუღდა წყალი და ჭის თავზე ღრუბელივით ორთქლი დადგა. იწვოდა ყველაფერი რაც უშრომლად შეეძინა უდარდელ კაცს. არ იწვოდა მხოლოდ ფაცხა, რომელიც მამის შრომით იყო დადგმული. მაშინ მამამ ხელი დასტაცა ბავშვს და იმ ფაცხაში, შეიყვანა. ბავშვმა თვალი გაახილა.

ხალხი ეზოდან გაიკრიფა. ასეთი უცნაური ხანძარი ჯერ არავის ენახა.

მეორე დღეს უდარდელი კაცი ყანაში წავიდა და იმ დღიდან სოფელმაც შეიყვარა იგი.

---

# პიონერული ახალი ამბები

## ფერგანელი პიონერები

გზაზე გამწკრივებულან დატვირთული ურმები და მანქანები, რომლებზედაც ბამბის მთები ირხევა და გზაზე ცვივა „თეთრი ოქროს“ ქულები.

გზაზე თეთრი კვალი მოჩანს. მაგრამ ამ ძვირფასი სამრეწველო ნედლეულის არც ერთი ნაგლეჯი არ იკარგება. თავისუფალ დროს გზაზე გამოდიან პიონერები. ისინი აგროვებენ დაცვენილ ბამბას და სპეციალურ ყუთებში ალაგებენ, რომლებიც მთელ გზაზეა განლაგებული.

ასე ეხმარებიან ფერგანელი პიონერები კოლმეურნეობებს.

## პიონერთა ახალი სასახლეები

ბრიანსკის რაიონის ქალაქ კადიევკის მეშახტეთა ბავშვებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს: მათთვის გაიხსნა პიონერთა სასახლე. ლამაზ, კარგად მოწყობილ შენობაში განლაგებულია 250 ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი და ათეული ოთახები მხატვრული თვითმოქმედების წრეებისა და პიონერთა შეკრებებისათვის.

პიონერთა სასახლის მშენებლობაზე დახარჯულია დაახლოებით 800 ათასი მანეთი.

პიონერთა სასახლე გაიხსნება აგრეთვე დიდი ოქტომბრის 36 წლის თავზე მეშახტეთა „კიროვოროვყის“ დასახლებაში.

* * *

საგარეჯოში გაიხსნა რაიონის ბავშვთა მომსახურეობისათვის პიონერთა სახლი, რომელსაც კაბინეტების დაკომპლექტებაში და მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს თბილისის პიონერთა სასახლე.

## ბაღის კვირეული

ამას წინათ მოსკოვის ოლქის ნორჩ-ნატურალისტთა ყრილობაზე პავლოვო-პოსადკის მე-18 სკოლის დელეგატებმა სიამაყით განაცხადეს, რომ მათი სასკოლო ბაღი დიდი ხანია ხილის უხვ მოსავალს იძლევა. ამჟამად ისინი ზრუნავენ, რომ მათმა ხეხილმა ყოველწლიურად მოისხას ნაყოფი.

ამ სკოლაში წესად იქცა: ნორჩი ნატურალისტები პირველ სექტემბერს ყოველ მოსწავლეს თავიანთი მიჩურინული ვაშლებით გაუმასპინძლდნენ.

პირველი ოქტომბრიდან ჩრდილოეთის რაიონებში და რსფსრ-ის საშუალო ზონაში დაიწყო ბაღის ტრადიციული კვირეული. საძირკველს უყრიან ახალ ბაღებს, ძველს კი საზამთროდ ამზადებენ. პიონერთა ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბაღის კვირეულში. იქ, სადაც ჯერ ნერგები არ დაურგავთ, რგავენ და ყოველგვარ ზომებს იღებენ იმისათვის, რომ მომავალ წელს მაღალხარისხოვანი ნაყოფის დიდი მოსავალი მიიღონ.

ბავშვებო! უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ სკოლას ჰქონდეს ხეხილის სანიმუშო ბაღი, რომლის ნაყოფიც ღირსი იქნებოდა გაგვეგზავნა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ნორჩ-ნატურალისტთა პავილიონში.

# რობინ ჰუდი და მღვდელმთავარი

★

რობინ ჰუდი ინგლისელი ხალხის საყვარელი გმირია. ინგლისური ხალხური ბალადები უმღერიან რობინ ჰუდს — ფეოდალებისა და მღვდლების მტერს, ღარიბთა, ქვრივთა და ობოლთა მეგობარსა და დამცველს. ფიქრობენ რომ რობინ ჰუდი იყო ისტორიული პირი, რომელიც ცხოვრობდა XII საუკუნეში და ებრძოდა ინგლისელი ხალხის დამპყრობლებს — ნორმანებს. ასეთი აზრია გატარებული, მაგალითად, ვალტერ სკოტის ცნობილ რომანში „აივენჰო“. ამგვარად რობინ ჰუდი, ინგლისელთა წარმოდგენით ერთსა და იმავე დროს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი გმირია. რობინ ჰუდი იმდენად პოპულარული იყო, რომ ინგლისელი გლეხები XV საუკუნის ბოლოდან მოკიდებული დიდხანს დღესასწაულობდნენ რობინ ჰუდის დღეს — პირველ მაისს. ეს იყო საგაზაფხულო დღესასწაული. ცეკვითა და სიმღერებით შემკული, რომლის დროსაც ხალხი სცენიურად წარმოადგენდა ხოლმე რობინ ჰუდის თავგადასავლის სხვადასხვა ეპიზოდს.

ეს ეპიზოდები აღწერილია ბალადებში, რომლებიც განსაკუთრებით XV საუკუნეში გავრცელდა. ამ ბალადებიდან განსაკუთრებით ცნობილია ისინი, რომლებშიც აღწერილია რობინ ჰუდის ბრძოლა ნოტინგამის შერიფის წინააღმდეგ (შერიფი — მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი მოხელეა ინგლისის ყოველ საგრაფოში), ფეოდალ გაი გისბორნის, ბერის, მღვდელმთავრის, მოღალატეების, ძუნწების და სხვათა წინააღმდეგ. ბალადების მიხედვით რობინ ჰუდი ცხოვრობს შერვუდის დაბურულ ტყეში თავის მხიარულ რაზმელებთან ერთად, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია პატარა ჯონი. ჯონს „პატარა“ ირონიული აზრით შეარქვეს ამხანაგებმა, რადგან ნამდვილად სიმაღლით იგი შვიდ ფუტამდეა (ორ მეტრზე მეტი). ამასთან ძალზე ღონიერია და ყოჩაღია. ცნობილი არიან აგრეთვე რაზმელები — მაჩი, სკარლეტი, სტატლი, სკათლოკი და სხვ. ისინი ზოგჯერ გამოდიან ტყიდან და გადაცმულები დადიან საქმეებზე ან ებრძვიან მტერს.

ყველა ბავშვი, რომლის ენაზეც კი არის თარგმნილი ეს ხალხური ბალადები, გატაცებით კითხულობს მამაცი, მხიარული და კეთილშობილი სახალხო გმირის თავგადასავალს. ქართველ მკითხველს იგი უთუოდ მოაგონებს არსენას, რომელიც, როგორც ცნობილია, აგრეთვე მჩაგვრელთა მტერი იყო და ჩაგრულთა მეგობარი.

მომავალ წელს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა გამოსცემს რობინ ჰუდის ბალადების კრებულს, თარგმნილს ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძის მიერ.

ვბეჭდავთ ერთ-ერთ ცნობილ ბალადას.

★

ინგლისურიდან თარგმნა

**გივი გაჩეჩილაძემ**

ნახ. ალ. ბანძელაძისა



მოდით, გიამბოთ, მსმენელნო,
რა ჰქნა რობინმა გმირმა,
ტყეში მღვდელმთავარს თუ როგორ
გაამართვინა წირვა.

ამბავი მოხდა მზიან დღეს—
მზე რომ წამოდგა დილით,
ფოთლით დაფენილ ტყის ბილიკს
გაჰყვა რობინი ფრთხილი.

და რომ გავიდა ტყის პირად
გულარხეინად, ლაღად,
იქ მღვდელმთავარი ამალით
გზად მომავალი ნახა.

— რა ვქნა? — წარმოსთქვა თავისთვის:—
თუ ჩავუვარდი ხელში,
მაშინვე ხეზე დამკიდებს,
განა გამიშვებს ტყეში!



ეროვნული ბიბლიოთეკა



ქოხს მოჰკრა თვალი მახლობლად
და იქვე გაჩნდა მაშინ,
და ქოხის პატრონ დედაბერს
თხოვა:—შემიშვი სახლში!

— ვინა ხარ? — ჰკითხა ბებერმა,—
კარი როდი მაქვს ღია.
— გამიღე კარი! არ მიცნობ?
მე რობინ ჰუდი მქვია.

მღვდელმთავარს შევხვდი ამალით
და თუ ხელთ მიგდო ახლა,
ვერ გადავრჩები ცოცხალი,
ხეზე დამკიდებს მაღლა!

— „თუ მართლა რობინ ჰუდი ხარ,—
უთხრა ბებერმა მაშინ,—
მაგ მღვდელმთავრისგან დაგიხსნი,
ჩქარა შემოდი სახლში!

მე კარგად მახსოვს ერთ შაბათს
საჩუქრად მომეც კაბა,
სანაცვლოდ ახლა გიშველი,
მტრისაგან გიხსნი სწრაფად.

— ეგ რუხი კაბა მე მომეც,
თან თითისტარი ჭრელი,
სანაცვლოდ ჩემი წაიღე,
თან ეს ისრები მჭრელი!

ქალად მოირთო რობინი,
ტყის გზას გაუდგა ჩქარა,
უკან მოხედა: მღვდელმთავრის
რაზმიც მოსდევდა შარას.

— ჰეი! — პატარა ჯონმა* თქვა,—
ქალს აქ რა უნდა ნეტავ?
ისარს მიიღებს ამ წუთში,
კუდიანია, ვხედავ.

— შეჩერდი! — ჰუდმა შესძახა,—
საქმე მოხდება ცუდი!
არ გამოსტყორცნო ისარი,
ეს მე ვარ, რობინ ჰუდი!

ქოხს მღვდელმთავარი მიადგა,
გადაავიწყდა დაღლა:
— ეგ მოღალატე რობინი
აქ მომიყვანეთ ახლავ!

თეთრ ცხენზე შესვა ბებერი,
თვით ჭრელი ჰყავდა რაში,
ტყვე რობინ ჰუდი ეგონა
და დასცინოდა გზაში.

მაგრამ ტყეში რომ შევიდა,
ლამის დაეცა დამბლა:
ასი მამაცი მსროლელი
ხის ქვეშ იცდიდა დაბლა.

— ვინ არის — - მღვდელმთავარმა თქვა,—
ამ ხალხს რა უნდა ვითომ?
დედაბერმა თქვა: — მე ვფიქრობ,
რობინ ჰუდია თვითონ.

— მაშ შენ ვიღა ხარ ტყვედქცნილი,
ახლა რომ მოსდევ გვერდით?
— თუ გსურს გაიგო, ეცადე,
ტანზე გამხადე ერთი!

— ვაგლახ-მე!- -მღვდელმთავარმა თქვა
და დააპირა წასვლა,
მაგრამ რობინმა უბრძანა
არ წასულიყო არსად.

მღვდელმთავრის რაში მიაბა
იქვე მახლობლად ხეზე.—
პატარა ჯონი სიცილით
ძლივსაღა იდგა ფეხზე.

შემდეგ გაშალა რობინმა
წამოსასხამი თვისი
და ზედ დაყარა ხუთასი
ოქრო მღვდელმთავრის ქისით.

— ახლა წავიდეს! — ბოლოს თქვა
მწვანე ტყეების გმირმა;
პატარა ჯონმა ითხოვა:
— ჯერ გაგვიმართოს წირვა!

ხეს მღვდელმთავარიც მიაბეს,
ჰუდმა ჩასჭიდა მკლავი,
„მამაო ჩვენო“ ამღერა,
დაალოცვინა თავი.

შემდეგ შინისკენ გაუშვა,
უთხრა: — გახსოვდეს ჰუდი!
ცხენზე უკუღმა შემოსვა
და ხელში მისცა კუდი.

* პატარა ჯონი — რობინ ჰუდის მამაცი რაზმელი, რაზმის ბინაში იყო ჩასაფრებული ამ დროს და გადაცმული რობინი ვერ იცნო.



ფოტო ო. თურქიასი

ელ. ყიფიანი

# სკოლა და წიგნი—ბურთი და მოედანი

## მოხუცი ქალი და ბიჭუნები

დილის 9 საათი სრულდება. ნინოშვილის ქუჩაზე, სამსართულიანი სკოლის შესასვლელთან მოწაფეები შეგროვილან და გაცხარებით კამათობენ. ხანდახან ჩაჩუმდებიან, ყურს მიუგდებენ — ზარის ხმა ხომ არ ისმისო და შემდეგ ისევ ახმაურდებიან.

სკოლის მთავარ კარებზე ვერცხლისფერი, მბზინავი ასოებით აწერია: „თბილისის ვაქთა 35-ე საშუალო სკოლა".

ქუჩის მოპირდაპირე ფილაქანზე მოხუცი ქალი მიაბიჯებს, მის ყურადღებას უნებურად იპყრობს მოწაფეთა საუბარი, მათკენ იხედება და ნაბიჯსაც უკლებს.

— არა ძმაო, რაც არ უნდა იმართლო თავი, გუშინდელი წაგება შენი ბრალი იყო. განა შეიძლებოდა იმ ბურთების გაშვება?! — ხელების ქნევით ამბობს სახეწამოწითლებული შავგვრემანი ბიჭუნა.

— ჩემი ბრალი!.. აბა, დადექი კარში და აილე იამანიძის დარტყმული ბურთები, იცი რა ტყვიასავით მოდის? სულ თვალები მიბნელდება,— თავს იმართლებს მეკარე — მაღალი ტანის, ცოცხალი გამომეტყველების ბიჭუნა.

— ჰოდა, თუ თვალები გიბნელდება,— გამოაჯავრა შავგვრემანმა, — არჩილ მასწავლებელი დღეს, ალბათ, აღარც გათამაშებს.

— ვნახოთ!

— ვნახოთ!

„ოჰ, ოჰ ოჰ, ეს ბიჭები... სულ მუდამ ფეხბურთი, ფეხბურთი და ფეხბურთი... მეტი აღარაფერი ახსოვთ — არც სახლი, არც სკოლა... წიგნს ხელს არ კიდებენ და რვეულს..." — გაიფიქრა მოპირდაპირე ფილაქანზე შეჩერებულმა მოხუცმა ქალმა, მოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

რას იტყოდნენ ნეტავ მოხუცის საყვედური რომ გაეგონათ მოკამათე ბიჭუნებს? რას იტყოდნენ მათი მასწავლებლები? დაეთანხმებოდნენ მოხუცის შენიშვნას, თუ...

გაკვეთილები დაიწყო. კლასში გეომეტრიის მასწავლებელი შემოვიდა ჟურნალით ხელში. ერთდროულად აიკეცა მერხთა სახურავები. ერთდროულად წამოდგა მთელი კლასი.

— დასხედით! — წყნარად ჩაილაპარაკა მასწავლებელმა, მაგიდასთან მივიდა, საკლასო ჟურნალი გაშალა და სიის ამოკითხვა დაიწყო.

— ვარ!

— აქ ვარ!

— ვარ, მასწავლებელო! — სხარტად პასუხობდნენ მოწაფეები.

მასწავლებელმა ჟურნალი დახურა, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და მერხებს შორის გაიარა. ის ღიმილით შეჰყურებდა თითოეული მოწაფის მშვიდ სახეს და თამამ გამოხედვას, როდესაც მასწავლებელი ბოლო მერხთან მივიდა, გაიფიქრა: „დღესაც ყველამ იცის გაკვეთილი".

— ვინ გამოვა დაფასთან? — წარმოსთქვა მან. მოწაფეებმა მაღლა ასწიეს ხელები.

— აბა, შენ, როლანდ! — და მასწავლებელმა დაფასთან გაიძახა სწორედ ის შავგვრემანი ბიჭუნა, რომელიც ათი წუთის წინ სკოლის შესავალთან იდგა და გაცხარებით ეკამათებოდა ამხანაგს. მან თითქმის მიირბინა დაფასთან, ცარცი აიღო და ლამაზი სამკუთხედი დახატა, კუთხეებსა და გვერდებს ასოები მიუწერა და მასწავლებლისაკენ შემობრუნდა.

დასამტკიცებელი გვაქვს პითაგორას თეორემა — სამკუთხედის კათეტების ჯამი უდრის ჰიპოტენუზას კვადრატს.

ცოტახნის შემდეგ დაფაზე უკვე ეწერა დამტკიცებული თეორემის ფორმულა $a^2+b^2=c^2$

— ყოჩაღ. დაჯექი. — წარმოსთქვა მასწავლებელმა და კლასს გადახედა — ფეხბურთს როგორღა თამაშობს როლანდი? — თუმცა ეს თვითონ უფრო კარგად იცოდა.

— პაიჭაძესავით, მასწავლებელო! — გაიცინეს მოწაფეებმა.

— ძალიან კარგი... დაიმახსოვრეთ ბავშვებო, რომ ჩვენს სკოლაში ვინც წარმატებით არ ისწავლის, მას ბურთსაც არ ვათამაშებთ. მართალია, ფეხბურთის სკოლას უწოდებენ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს წიგნს ხელი არ მოკიდოთ... აბა, ახლა ვინ მიპასუხებს გაკვეთილს?

... ასე გრძელდებოდა გეომეტრიის გაკვეთილი თბილისის ვაქთა 35-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასში, მაგრამ არა მარტო გეომეტრიის გაკვეთილი და არა მარტო მე-7 კლასში,



სურათზე: თბილისის 35-ე სკოლის ნორჩი ფეხბურთელები. ისინი აქედანვე ეჩვევიან კოლექტიურ თამაშს. ამ 11 ფეხბურთელიდან ერთ-ერთ მათგანსაც კი რომ დაევიწყებია პასუხისმგებლობის გრძნობა შეჯიბრების დროს, მაშინ გუნდი ვერ გახდებოდა ბროლის თასის მფლობელი.



რ. ყიფიანი, როდესაც ბურთს მიიღებს საჯარიმო მოედანზე, მუდამ მზად არის კარში დასარტყმელად.

ყველა კლასში და ყველა გაკვეთილზე მოწაფეები კარგად პასუხობდნენ მასწავლებლებს. შესვენებების დროს კი დერეფნებში გამოფენილი მოწაფეები ერთმანეთს ებაასებოდნენ, აზრს უზიარებდნენ, კამათობდნენ გეომეტრიის, ფიზიკის თუ მშობლიური ლიტერატურის საინტერესო საკითხებზე, ისევე, როგორც ფეხბურთის შესახებ კამათობდნენ დილით — სკოლის შესასვლელთან.

ასე რომ შეცდა მოხუცი ქალი, რომელმაც ამ დილით შემთხვევით მოჰკრა ყური „სულ მუდამ ფეხბურთით" გატაცებული მოწაფეების კამათს. მისთვის რომ ყური მოეკრათ მასწავლებლებს, ისინი, რასაკვირველია, არ დაეთანხმებოდნენ მის შენიშვნას, იმიტომ რომ 35-ე სკოლის მოწაფეები ბურთსაც კარგად თამაშობენ და კარგადაც სწავლობენ.

## სკოლის წარსული და მომავალი

იმ დღეს მხოლოდ ერთხელ დაირღვა წესრიგი. ეს იყო მე-5 კლასში, არითმეტიკის გაკვეთილზე.

როდესაც მასწავლებელი დაფისაკენ შეტრიალდა და ახალი მასალის ახსნა დაიწყო, 12 წლის ცოცხალთვალებიანმა ბიჭუნამ წინა მერხზე მჯდომ ამხანაგს ხალათში თითები ჩასჩქიდა და ფრთხილად მოსწია.

— რა გინდა? — ჩურჩულით შეეკითხა იგი.

— გუშინ რადიოს უსმენდი?

— არა!

— ჩვენმა „დინამომ" მოუგო კიევის „დინამოს" 4:0.

— მართლა? — კინაღამ წამოიყვირა ამხანაგმა. მაგრამ ახლა თვითონ გადასწვდა წინა მერხზე მჯდომს და განმეორდა იგივე. ცოტა ხნის შემდეგ უკვე მთელ კლასს მოედო ეს სასიხარულო ცნობა და ოთახში საკმაო ხმაური შეიქნა.

— რა ამბავია?! — იკითხა მასწავლებელმა და როდესაც მიზეზი გაიგო, მკაცრი ხმით წარმოსთქვა: — მაგის შესახებ შესვენების დროს ვილაპარაკოთ, ახლა კი ყური მიგდეთ.

მასწავლებლის შენიშვნა სამართლიანი იყო. მაგრამ გულში თითოეული მოწაფე თავს იმართლებდა; რა უნდა ექნათ, უხმოდ როგორ გამოხატავდნენ ასეთ სასიხარულო ამბავს. თანაც ისინი ხომ ყველაზე პატარები არიან ამ სკოლაში... ყველაზე პატარები იმიტომ, რომ თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლაში I, II, III და IV კლასები არ არის. ყველაზე უმცროსები V კლასელები არიან, სწორედ იმ ასაკის ბავშვები, რომელთა ჯანმრთელობაზე ფეხბურთის თამაში ცუდ გავლენას არ იქონიებს. ამიტომ V კლასი უმთავრესად კომპლექტდება თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლების სკოლებიდან გადმოსული მოწაფეებით. V-დან XI კლასამდე სწავლა მიმდინარეობს ჩვეულებრივად, როგორც სხვა სკოლებში, მა რამ აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფიზკულტურის საათებს. და ყველაზე მეტად — ფეხბურთს. სკოლის დევიზი ასეთია: „ვინც სწავლაში ვერ ასწრებს, ის არც ფეხბურთს თამაშობს". 35-ე სკოლაში (დირექტორი დ. შენგელია) სულ 246 მოსწავლეა. მათგან კლასების მიხედვით დაკომპლექტებულია ფეხბურთის 18 გუნდი.

თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლა დაარსდა 1945 წელს. ეს იყო ფეხბურთის პირველი სპეციალური სკოლა მთელ საბჭოთა კავშირში. მაშინ მწვრთნელებად მუშაობდნენ ნ. ჩხატარაშვილი, ა. გალპერინი, ტარასევიჩი და სხვ. ამჟამად კი მოწაფეთა ვარჯიშს ხელმძღვანელობენ ფეხბურთის ვეტერანები, სპორტის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი არჩილ კიკნაძე (მთავარი მწვრთნელი), მიხეილ ბერძენიშვილი, ვიქტორ პანიუკოვი, სპარტაკ ჯეჯელავა და სხვები.

მწვრთნელების დაუღალავი მუშაობის შედეგად 35-ე სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს



რ. ყიფიანი ასევე ყოველთვის მზად არის გაკვეთილის საპასუხოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



✻

— თავდასხმასა და თავდაცვას შორის არ იყო კავშირი, ამიტომ წააგეთ 3:0-ზე. ახლა ჩათვალეთ, თითქოს ანგარიში 0 : 0 და ისე ითამაშეთ მატჩის მეორე ნახევარი. — არიგებს მიხეილ ბერძენიშვილი თავის აღსაზრდელებს.

✻

მიაღწიეს. 1945 წლიდან დაწყებული ისინი თბილისის ჭუცველი ჩემპიონები არიან მოზარდთა შორის, 6-ჯერ იყვნენ საქართველოს თასის მფლობელნი. 1950-სა და 1951 წელს ზედიზედ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ბროლის თასი, 1952 წელს მესამე ადგილზე გავიდნენ. წელს კი დაძაბული ბრძოლების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის 16 რესპუბლიკა და აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები, ისევ დაიბრუნეს თასი. გამარჯვებული გუნდი შემდგარი იყო 35-ე სკოლის საუკეთესო ფეხბურთელებისაგან და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის მოსწავლეებისაგან.

ახლა 35-ე საშუალო სკოლის ფეხბურთის კაბინეტში დროშებითა და სპორტული ვიმპელებით მორთულ კუთხეში დგას ბროლის თასი, რომელსაც სამჯერ აწერია საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელი. კაბინეტის კედლები დაფარულია სხვადასხვა დიაგრამებით, ფეხბურთის საწვრთნელი ნახაზებით, როგორც ყოველ საკლასო ოთახში, აქაც ჰკიდია დაფა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მასზე თეთრი საღებავით არის დახაზული ფეხბურთის მოედანი. 35-ე სკოლის მოწაფეები ამ კაბინეტში ასე ვთქვათ თეორიულად „თამაშობენ" ფეხბურთს.

თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლას უკვე სამი გამოშვება ჰქონდა. ამ სკოლაში აღიზარდნენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორიც არიან ჭკუასელი, კოტრიკაძე, კალოევი, კიტია, კახნიაშვილი და სხვები. ამ სკოლის კურსდამთავრებულთაგან, რასაკვირველია, ყველა ფეხბურთელი როდი გამოდის. ბევრი მათგანი, XI კლასის დამთავრების შემდეგ ჩვეულებრივად უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს სწავლას. არც „სპორტული განათლება" ამოიწურება მარტო ფეხბურთის თამაშით. სკოლაში ჩამოყალიბებულია კალათბურთისა და ფრენბურთის გუნდები, სწავლობენ მაგიდის ჩოგბურთის თამაშს და სხვ. მაგრამ, რაც მთავარია, სკოლა სპორტსმენების გარდა ზრდის აგრეთვე მსაჯებსაც. 50 მოწაფე I, II და III კატეგორიის მსაჯია ფეხბურთში. ხოლო გურამ აკობაშვილი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია.

ამჟამად თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე მიმდინარეობს სკოლის პირველობა სასწავლო წელთან დაკავშირებით. მატჩებს დიდებთან ერთად მოწაფეებიც სჯიან. დიდი ყურადღება ექცევა დისციპლინის საკითხებს. მომავალ ფეხბურთელებს აქედანვე აჩვევენ თავაზიანობას, კოლექტიურობას, წესრიგს. ერთ-ერთ თამაშზე უხეშობისათვის მსაჯმა მოედნიდან გააძევა XI კლასის მოსწავლე სოლომონ ნავროზაშვილი. მეორე დღესვე შეიკრიბა მოწაფეებისაგან შემდგარი დისციპლინარული კომისია და მსაჯის თანდასწრებით გაარჩია მისი საქმე. ს. ნავროზაშვილს მიეცა გაფრთხილება. ეს შემთხვევა კარგი გაკვეთილი იყო ყველა მოწაფისათვის.

35-ე სკოლის მოწაფეების გარდა აქ იწვრთნებიან თბილისის სხვა სკოლების მოსწავლეებიც. მათ შორის არის რამაზ პაიჭაძე — სახელოვანი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის შვილი.

ძველი ფეხბურთელების დიდი გამოცდილება და მონდომებული მუშაობა მოწაფეებთან საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლა გადაიქცევა ჩვენი რესპუბლიკის გუნდების ძლიერ ბაზად. უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ კიკნაძე მამასავით უვლის ნორჩ ფეხბურთელებს თამაშის დამთავრების შემდეგ ანალიზს უკეთებს თითოეული მათგანის შეცდომას, უბრალო და გასაგები ენით გადასცემს მოწაფეებს რთული ტაქტიკური თამაშის არსს. მაგრამ, რასაკვირველია, ის უფრო მეტად ეხმარება დამცველებს. არჩილ კიკნაძე ხომ თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი იყო. ასევე წვრთნის გუნდს და განსაკუთრებით თავდამსხმელებს სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ბერძენიშვილი, ის ხომ 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმის განუმეორებელი ოსტატია და მოწაფეები ცდილობენ შეითვისონ მისგან ეს მეტად საპასუხისმგებლო დარტყმა.

თბილისის 35-ე სკოლის საქმიანობამ და პრაქტიკაში მიღებულმა საუკეთესო შედეგებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. 1949 წელს ასეთივე სპეციალური სკოლა დაარსდა რიგაში (ლატვია), შემდეგ უზბეკეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში და მოლდავეთში. ამ რესპუბლიკების სპორტული წარმომადგენლები ხშირად ჩამოდიან თბილისში. ეცნობიან 35-ე სკოლის ცხოვრებას, ორგანიზაციას, მოწაფეთა წვრთნის საკითხებს, სკოლის საგნებისა და სპორტის ერთდროული სწავლების მეთოდებს, რათა ეს გამოცდილება გადასცენ თავიანთი რესპუბლიკების ნორჩ ფეხბურთელებს.

# მოსწავლეთა შემოქმედება

## საზეიმო

გათენდა... ხალისით ვგუგუნებთ,
დე ეს ხმა მსოფლიოს გადასწვდეს.
დროშებით მოვდივართ ბავშვები,
დროშების გაშლას ვინ დაგვასწრებს!

გვეფრქვევა ყვავილთა ფიფქები,
დაფრენენ ღუღუნა მტრედები.
მწამს მუდამ ლაღები ვიქნებით,
მარადის ილხენენ დედები.

სიფრთხილით ამოგვაქვს გულიდან
სიმღერა დროშად რომ ანთია!
მშვიდობა! აი, რა გვჭირდება,
ჩვენ ამ გზით მიგვიძღვის პარტია.

დროშები გვიჭირავს მზიანი
შუქსავსე ოქტომბრის ნათელით.
ზედ ოქროს სიტყვებით სწერია —
ლენინის, სტალინის სახელი!

**ჯუმბერ ჯოჯუა,**
აბაშის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლე.

*

## პიონერთა სიმღერა

ჩვენ პარტია გვზრდის, მისი დროშა გვფარავს პატარებს,
მისი კალთები თავს გვევლება აფრიალებით.
ჩვენ იმ დროშისფერ ყელსახვევებს ლხენით ვატარებთ
და იმ დროშის ქვეშ არწივივით დავფრთიანდებით.

გავლაღებულვართ, თითქოს ხელით ზეცას ვეხებით,
მზე დიდებისა მაისივით გულს გვიხატია,
სულ წინ მივდივართ შენებით და გამარჯვებებით,
რადგან მიგვიძღვის უძლეველი გმირი პარტია.

ჩვენი პარტია! უძლეველი ციხე-სიმაგრე,
გზას გვიბრწყინვალებს მზე ლენინის დიადი სახე
და კრემლის თავზე აღმართული მეშვიდე ცამდე
დროშა ძლევისა ნიავქარი ლაღად რომ არხევს.

ჩვენ იმ დროშისფერ ყელსახვევებს ლხენით ვატარებთ,
მოვდივართ, როგორც გულგაშლილი ლალი ვარდები.
ჩვენ იმ დროშის ქვეშ გაგვიშლია ფრთები პატარებს
და იმ დროშის ქვეშ არწივივით დავფრთიანდებით.

**ვაჟა ყუბუსიძე,**
თბილისის ვაჟთა 43-ე სკოლის მოსწავლე.

*

## მასწავლებელი

შენ წინ როდესაც კრძალვით ვჩერდები
და ნათელ თვალებს ვუცქერ სიამით,
ვიტყვი: «ნურასდროს დაგვიბერდები,
დღემუდამ იყ ვ თვალებმზიანი!»

შენ შემაყვარე სწავლა პატარას,
უქრობ მზესავით გზას მინათებდი
და შენს დიდ გულში ფიქრით ჩამჯდარმა,
ვიწამე შენი სიტყვის ნათელი.

როცა ჩვენ გვიცქერ აღარ ღონდები
და სიხარულით ღელავ ზღვასავით.

შენ ისე გშვენის მკერდზე ორდენი,
როგორც კრემლს თავზე დიდი ვარსკვლავი.

ჩვენი ფიქრი ხარ, ჩვენი ოცნებაც
და ჰა, ამიტომ გმოსავთ დიდებით.
შენი თვალები გვემახსოვრება
და არასოდეს დაგვავიწყდები.

შენ წინ როდესაც კრძალვით ვჩერდები
და ნათელ თვალებს ვუცქერ სიამით,
ვიტყვი: «ნურასდროს დაგვიბერდები,
დღემუდამ იყავ თვალებმზიანი!»

**მურმან ძველაია,**
აბაშის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლე.



# ნორჩი ტურისტის ჩანაწერები

## პირველი დღე

19 ივლისს მანქანა უკვე მიგვაქროლებდა საქართველოს სამხედრო გზაზე. უკან გვრჩებოდა ამწვანებული ბაღები და მინდვრები, უფრო და უფრო ვშორდებოდით მშობლიურ თბილისს. გავიარეთ საქართველოს უძველესი ქალაქი—მცხეთა, გავცდით ანანურს და ფასანაურს, სადაც ერთმანეთს უერთდებიან თეთრი და შავი არაგვი. მალე მლეთსაც მივადექით, მლეთიდან იწყება აღმართი და ასე გეგონება, გზა ცისკენ მიიკლაკნება, დასასრული აღარ უჩანსო. მანქანამ სადღაც ღრუბლებში სიცივისა და ალპიური ველების ზონაში აგვიყვანა.

ჯვრის გადასავალზე ვიყავით, 2382 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამ გზით უმგზავრიათ ოდესღაც პუშკინს და ლერმონტოვს, მაქსიმ გორკის კი ფეხით გადმოულახავს გადასავალი. აქედან ჩამოსულან ისინი სტუმართმოყვარე საქართველოში.

მცირე ხნის შემდეგ კობში ჩავედით, სადაც ჩვენი პიონერთა სასახლის ნორჩ ალპინისტებს დავცილდით, ისინი მყინვარწვერის დასაპყრობად გაემგზავრნენ.

გზა თრუსოს ხეობით განვაგრძეთ.

...ჩვენი მანქანა თერგის ნაპირს მიჰყვებოდა და ზემოდან გადმჰყურებდა ამ გადარეულსა და შეუპოვარ მდინარეს, რომელიც ხმაურითა და გასაოცარი სისწრაფით მიაგორებდა ტალღებს, ეჯახებოდა ლოდებს, ველარ ისვენებდა თავის ვიწრო კალაპოტში. მოგვაგონდა პოეტის სიტყვები:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“.

---

სურათზე: როკის ხეობაში.

მართალია აქ ისეთი უზარმაზარი კლდეები არ იყო, როგორც დარიალის ხეობაში, მაგრამ თერგი ღრიალით აქაც საკმაოდ ღრიალებდა და შფოთავდა.

## თრუსოს გადასავალი

მესამე დღეს თერგის გადალახვა მოგვიხდა ფეხით, ცოფიანივით გვეტაკა მთის გიჟი მდინარე, ჩვენს წაქცევას ლამობდა, მაგრამ არც ჩვენ ვუთმობდით და მედგრად ვუმკლავდებოდით ბუნების სტიქიას. მაინც გავუძელით და ყოველგვარი მარცხის გარეშე გავედით მეორე ნაპირზე. განვაგრძეთ გზა და შუადღისას დავბანაკდით სოფელ სივერაუტში. პატარა და მწვანე მინდორზე სწრაფად გაიშალა კარვები.

ჩვენს ირგვლივ გადაშლილიყო თვალწარმტაცი სანახაობა: თერგის ნაპირას აზიდული კლდოვანი ფერდობი და მთებზე შეფენილი ცხვრის ფარები. მალე მინდორზე ბურთის თამაში გაჩაღდა და დაღამებამაც შეუმჩნევლად მოაღწია.

22 ივლისს უკვე თრუსოს გადასავლის ძირას ვიყავით, დავშორდით თერგს და საწინააღმდეგო მხარეს გავუხვიეთ. ქვემოდან ახლოს გვეგონა თრუსოს გადასავალი, მაგრამ ბილიკი აღარ თავდებოდა და ჩვენც მხნედ მივაბიჯებდით პატივცემულ ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

3149 მეტრის სიმაღლიდან ოდნავ გამოჩნდა ნისლში გახვეული „ხევის პატარძალი“, პირქუში, ცივი და მიუკარებელი მყინვარწვერი. გულით ვინატრეთ, ნისლი გაფანტულიყო და პირბადე ჩამოეხსნა „ხევის პატარძალს!“ გვენახა იგი მთელი თავისი სიდიადითა და მიმზიდველობით. მაგრამ ნატვრა არ აგვსრულებია.

განვაგრძეთ გზა. გამყოლთა დასახმარებლად კი დარჩნენ ზურიკო სარალიძე, ივერი წერეთელი, კოტე სლოვინსკი და

გივი ქარცივაძე. მათ მართლაც დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენს გამყოლებს ციცაბო ბილიკებზე ცხენების ჩამოყვანისას.

## შეხვედრა ზემო როკში

დილაადრიან შევყევით როკის გადასავალისაკენ მიმავალ აღმართს. ბილიკი ხან ჩუხჩუხა ნაკადულს მიჰყვებოდა და ხანაც ბუჩქნარში მიიმალებოდა.

მალე თვალს მოეფარნენ მთების ჯავშანში ჩაჭედილი სოფლები. გავიარეთ ალპიური ველების ხალიჩა და გამოჩნდნენ თოვლის ლაქებით შეფერადებული გოროზი კლდეები.

პატარა თოვლიანი ადგილი შევარჩიეთ და მასზე სრიალით გული ვიჯერეთ. ზოგს თავი ბაკურიანში ეგონა და ბამბუკის გრძელი ჯოხებით სრიალებდა დაღმართზე,

დაიწყო უკანასკნელი აღმართი. ცხენებს ცოტა არ იყოს გაუჭირდათ თოვლით დაფარულ ბილიკზე გავლა, მაგრამ როგორც იქნა გამყოლების დახმარებით დასძლიეს დაბრკოლება და გადასავალზე აღმოჩნდნენ. ჩვენც მალე ავედით 2991 მეტრის სიმაღლეზე.

ხელისგულივით მოჩანდა ამწვანებული ტყეებით შეფენილი მთები, სოფლები და ხეობები. ნისლში ცურავდა ბრუტსაბძელი, რომლის დანახვა ძნელი იყო.

ამ დღეს ჩვენი ლაშქრობის მონაწილეს—გივი ახვლედიანს 15 წელი შეუსრულდა და მისი დაბადების დღე როკის გადასავალზე გადავიხადეთ. იგი 15 შოკოლადით იქნა დაჯილდოებული, ჩვენ მხიარული შეძახილებით ვულოცავდით ამხანაგს მისი დაბადების დღეს. შემდეგ ქვებით აშენებულ ნიშში ჩვენი ბარათიც დავტოვეთ და ქვემოთ დავეშვით.

მალე გავჩერდით სოფელ ზემო როკში, სადაც შევხვდით მაღალმთიანი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს მართა პლიევას—„როკის ხეობის დიასახლისს“.

იგი მხიარულად შემოგვეგება, ოსური ხაჭაპურებით, ახალი ყველითა და ლუდით გაგვიმასპინძლდა. ამ დროს გზაზე მოსკოველმა ტურისტებმაც გამოიარეს და სახელოვანმა მასპინძელმა ისინიც მოიპატიჟა. აჩხაკუნდნენ ფოტოაპარატები. საერთო მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა.

ძალიან გვენანებოდა ამ კეთილი გულის, სახელმოხვეჭილ ადამიანთან გამოთხოვება, მაგრამ დრო აღარ ითმენდა.

## როკიდან ყვირილას სათავეებამდე

ორი დღის შემდეგ ჩავედით ჯავაში, რომელიც გაშენებულია მდინარე ლიახვის პირას. ხშირი ნაძვნარი, ლამაზი მთები და მინერალური წყლები ათასობით დამსვენებელს იზიდავს ჩვენი რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან.

ჯავაში გამოვუშვით საველე გაზეთები, ვესტუმრეთ პიონერთა ბანაკს, სადაც გულთბილი საზეიმო შეხვედრა მოგვიწყეს. აქ დიდად გვასახელა გოია ცაბაძემ, მან მოხდენილი ცეკვით მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა. სამი დღის დასვენებამ გაგვიათკეცა ენერგია და უკვე მოუთმენლად ველოდით გასვლას ერწოს ტბისაკენ. ჯავა 30 ივლისს დავტოვეთ.

საკმაოდ დიდი მანძილი ფეხით გავიარეთ. შემდეგ კი გზა მანქანით განვაგრძეთ. მანქანის გუგუნს ჩვენი ომახიანი სიმღერაც უერთდებოდა. გზის პირად აღმართული კედლები ბანს გვაძლევდნენ. საღამოს უკვე ერწოს ტბაზე ვიყავით.

დავბანაკდით ტბისგან დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე, მაღალბალახიან და ყვავილებით მოფენილ მინდორზე. ლურჯად მოლივლივე ტბას გარშემო გუშაგებივით შემორტყმოდნენ ლაქაშები, მხოლოდ ნაპირის პატარა ზოლი შემოჭრილიყო ტყეში და ეს ადგილი ერთადერთი მისადგომი იყო მთის ტბასთან. ვილაცამ ამბავი მოიტანა ტბაში გველები ყოფილან და ბანაობა არ შეიძლებაო. თუმცა ეს ამბები არ გამართლდა, მაგრამ ბანაობა მაინც ვერ ვიგემეთ. ზოგიერთებს დღიურები არა გვქონდა დაწერილი და სასჯელად ბანაკში დაგვტოვეს. შორიდან ნახვა გვაკმარეს ერწოს ტბისა.

1 აგვისტოს ყვირილას ხეობით დავეშვით ერწოს ტბიდან და მალე ზემო იმერეთის ამწვანებული მთა-გორებიც გამოჩნდა, ფერდობებზე შეფენილი სოფლებითა და ბაღ-ვენახებით. გიჟმაჟი ყვირილა ხმაურით მიაქანებდა ტალღებს, ქვებსა და წყალში ჩახერგილ ხეებს შორის, ბარში გასვლას ლამობდა და ყვირილს თანდათან უკლებდა, თითქოს ზეიმობს მთებიდან გამოქცევასო.

ერწოს ტბიდან წამოსვლისას მოლაშქრეებმა გადაწყვიტეს კარვის პალოები ზურგჩანთებით წამოეღოთ, რადგანაც ყოველდღე ახალი პალოების გამოთლა ეზარებოდათ. მაგრამ მათი „ნოვატორობა“ ამაო გამოდგა, რადგანაც ამის შემდეგ კარვებში აღარც გვძინებია. განსაკუთრებით ლევან მიქელაძე იყო უკმაყოფილო ტყუილუბრალოდ გაწეული შრომით.

საღამოს ჩავედით სოფელ ჭალაში და ღამე სკოლის შენობაში გავათიეთ.

## აკაკის აკვანი

ვუახლოვდებოდით დიდი ქართველი პოეტის სოფელს, უკან დავტოვეთ მისი საყვარელი მდინარე ჩიხურა და აგერ, მაღლობზე გამოჩნდა ორსართულიანი ქვიტკირის სახლი. რო-



კაცხის სვეტი

მელსაც აკაკი ასე ახასიათებს: „ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე ციხისა, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს“.

...ამ სახლში დაბადებულა აკაკი.

ვათვალიერებთ მუზეუმს: აგერ მისი აკვანი, რომელიც 1908 წელს იუბილეზე მისმა ძიძიშვილებმა საჩუქრად მიუტანეს აკაკის.

აი, აკაკის სიჭაბუკის, შემოქმედებითი მუშაობისა და საზოგადო მოღვაწეობის ამსახველი სურათები და მასალები.

შევდივართ აკაკის სამუშაო ოთახში: უბრალო მაგიდა, საწოლი, ტანსაცმელი, წიგნები, მისი მადლიანი კალამი, რომლითაც დიდმა პოეტმა ქართულ პოეზიას მრავალი მარგალიტი შეჰმატა.

## ჭიათურაში

მატარებელი შავი ოქროს ქალაქში შეგრიალდა. ჭიათურის მაღაროების დათვალიერება ჩვენს ოცნებას აღემატებოდა. ვაგონეტებით მოგზაურობის დროს ბევრი რამ ვნახეთ საინტერესო მიწისქვეშა გვირაბებში.

ძველი მუშები გვიამბობენ თუ რა აუტანელი მდგომარეობა ჰქონდათ მუშებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, როგორ მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობა.

სულ სხვა სურათია დღეს. გვირაბებში ელექტროშუქია გაყვანილი, სამუშაოთა უმეტესობა მექანიზებულია, რითაც გაადვილებულია საბჭოთა მაღაროელთა შრომის პროცესები.

ჭიათურას ზემოდან ნახიზნარი გადმოჰყურებს. ეს ის ადგილია, სადაც დიდმა სტალინმა მუშათა გრანდიოზული კრება მოაწყო, სადაც დარაზმა ჭიათურელი მშრომელები მეფის მთავრობის წინააღმდეგ, მონობისა და საშინელი ტანჯვის წინააღმდეგ. იმ დროის შესახებ ამბობს პოეტი გრიგოლ აბაშიძე:

„ეს ბელადი შემოვიდა
და პირველი გაზაფხული!“

დიდი ბელადის ხელით გამოჭედილმა გაზაფხულმა ბედნიერება და სიხარული მოუტანა ჭიათურის მშრომელებსაც. და სწორედ იმ დიდი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად აღმართულია ნახიზნარში მაღალი ობელისკი. აქ თითქოს გვესმოდა ჭიათურელი მუშების ყიჟინა, რომელნიც მხარდამხარ გაჰყვნენ ახალგაზრდა სტალინს თვითმპყრობელობის ბორკილთა დასალეწად.

— . —

ჯერ კიდევ ძველიდანვე კაცხის სვეტი ცნობილი იყო თავისი მიუვალობით. ვახუშტი წერს, რომ მასზე „არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისაო“. მაგრამ რაც მიუწვდომელი იყო წინათ, მისაწვდომი გახდა საბჭოთა სპორტსმენებისათვის. კაცხის სვეტი რამდენიმე წლის წინათ დაიპყრო ალიოშა ჯაფარიძემ თავის ამხანაგებთან ერთად.

კაცხის ეკლესიის დათვალიერების შემდეგ გავემგზავრეთ გამოჩენილი ქართველი ალპინისტების სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების სამშობლო სოფელ ხრეითში, სადაც უკანასკნელი დღე გავატარეთ.

9 ივლისს თბილისისაკენ მოგვაქროლებდა მატარებელი.

* * *

შინაარსიანად ჩაიარა ლაშქრობაში გატარებულმა დრომ. გავიარეთ დაახლოებით 250 კილომეტრი. მოვიარეთ სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი და ზემო იმერეთი. ბევრი რამ ვნახეთ საინტერესო გზაში, კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები და ბობოქარი თერგი, ლიახვი და ყვირილა, დაბურული ტყეები და ვიწრო ბილიკები. განა შეიძლება დაგვავიწყდეს ბალახზე გაშლილ კარვებში ძილი და საღამოობით აბრიალებულ კოცონთან სიმღერა! განა შეიძლება ყველაფერი ეს, ნახული და გაგონილი ამოიშალოს ჩვენი მეხსიერებიდან?! არა, ლაშქრობაში გატარებული დღეები სამუდამოდ ჩაგვრჩება ხსოვნაში. ამ ლაშქრობამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.



ქიათურაში, მაღაროელებთან.

გავლილმა დღეებმა უქმად როდი ჩაიარა, გამოშვებულ იქნა 18 საველე გაზეთი; მრავალი ფოტოსურათი გადაიღო გია ქუბაბრიამ. მარინე ივანიშვილმა ლამაზი მცენარეების ჰერბარიუმი, ხოლო თალიკო კარბელაშვილმა მრავალი ჩანახატი ჩამოიტანა თბილისში. შეგროვებულ იქნა ისტორიული მასალები.

გარდა ამისა ყოველდღიური საქმიანობა და მორიგეობა შრომასა და სიბეჯითეს გვაჩვევდა ნორჩ ტურისტებს.

...გამოწრთობილნი და გაჯანსაღებულნი ვბრუნდებოდით თბილისში, ფიქრებით კი კვლავ იქ, კავკასიონის მიუვალ მთებსა და ხეობებში ვიყავით.

მალხაზ ნაპროშვილი,
თბილისის ვაჟთა მე-19 სკოლის მოსწავლე.

ფოტო გია ქუბაბრიასი,
თბილისის ვაჟთა მე-2 სკოლის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ვიკითხოთ

## ფ. ვიგდოროვა — „ჩემი კლასი“

„უწინ მე მეგონა, რომ დაწყებით სკოლაში მასწავლებლობა ყველა ანბანის მცოდნე ადამიანს შეუძლია და მე ხომ, რაც არ უნდა იყოს, ჩემი უმაღლესი განათლებით, მით უმეტეს არ გამიძნელდებოდა. ასე მეგონა და სულ სხვა კი აღმოჩნდა: გსურს სიტყვა-სიტყვით, სახელმძღვანელოს მიხედვით ასწავლო?—კეთილი! მაშინ სავსებით გეყოფა ის, რაც შენ იცი. მაგრამ თუ პასუხს გასცემ ყველა „რატომს“ და ახალ „რატომებს“ გამოიწვევ, მაშინ დაუღალავად უნდა იკითხო, ეძებო, გაფაციცებით ადევნო თვალყური ყველაფერს და ყოველთვის დარწმუნდები, რომ შენ ცოტა იცი“.

ეს სიტყვები მოტანილია ფ. ვიგდოროვას წიგნიდან „ჩემი კლასი“ და იგი ეკუთვნის მასწავლებელ მარინა ნიკოლაევნა ილინსკაიას.

ფ. ვიგდოროვა პედაგოგი ქალია. მთელი თავისი გამოცდილება ამ წიგნში ჩააქსოვა.

წიგნში მრავალი რთული საკითხი იმდენად უბრალოდ და მახვილგონივრად არის დასმული, იმდენად კარგი ანალიზი და გადაწყვეტაა მოცემული, რომ აღტაცებას ეძლევი, თავდავიწყებით კითხულობ და წიგნის გმირებთან ერთად ცხოვრობ ნამდვილი პიონერული ცხოვრებით. ეს აიხსნება ბავშვის ხასიათისა და ბუნების საფუძვლიანი ცოდნით.



მარინა ნიკოლაევნა ილინსკაია უმაღლეს დამთავრებული ახალგაზრდა მასწავლებელია; იგი მეოთხე კლასის მასწავლებლად დანიშნეს და დღიდან სკოლის ეზოში შესვლისა გვიამბობს ყოველ მნიშვნელოვან მომენტს ბავშვებისა და მისი ურთიერთობიდან.

მასწავლებელი მათი უახლოესი მეგობარი უნდა იყოს, თითოეულს უნდა იცნობდეს, იცოდეს არა მარტო როგორ სწავლობს ბავშვი ამა თუ იმ საგანში, ან რა ხასიათის შეცდომები აქვს, არამედ ისიც, თუ ვისთან ამხანაგობს, მეგობრები როგორი ყავს, მშობლები ვინ არიან, თავისუფალ დროს სად და როგორ ატარებს, როგორია მისი ცხოვრების პირობები.

წიგნში ბევრი ადგილი აქვს დათმობილი მასწავლებლის მშობლებთან ურთიერთობასა და დაახლოებას. მასწავლებლობა და სკოლის ხელმძღვანელობა ერთად ზრუნავენ ბავშვის მომავლისათვის, რომ ბავშვს დიდი წარმოდგენა არ ჰქონდეს თავზე, რომ ის ყოყოჩი და ამპარტავანი არ იყოს.

მასწავლებელი ილინსკაია უსმენს თუ როგორი საუბარი აქვს სკოლის დირექტორს მოსწავლის მშობელთან. როგორ ურჩევს ის მამას საჭირო ზომები მიიღოს და ბავშვი გადაარჩინოს სიცრუეს. „რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა.“ — მოსწრებულად იყენებს ავტორი შოთა რუსთაველის სიტყვებს.

ფ. ვიგდოროვას „ჩემი კლასის“ ქართულ ენაზე გამოცემა მისასალმებელია. ამ შესანიშნავ წიგნს ერთნაირი ინტერესით და გულისყურით წაიკითხავს მოსწავლე და მასწავლებელი, დიდი თუ პატარა.

ნოდარ ჩხეიძე

## ოთარ ჭელიძე — „საბავშვო პოემები“

ოთარ ჭელიძის საბავშვო პოემების წიგნი, რომელიც „საბლიტგამის“ მიერ არის გამოცემული, შვიდი პოემისაგან შედგება.

პოეტი ნორჩ მკითხველებს მოუთხრობს მრავალ საინტერესო ამბავს. წიგნში აღწერილია დიდი სამამულო ომის დროს მამაცი ბავშვების ბრძოლა დიადი საბჭოთა სამშობლოსათვის, აგრეთვე მშვიდობისათვის მებრძოლი ნორჩი პატრიოტების საქმიანობა. ასევე საინტერესოდაა მოთხრობილი პიონერული ცხოვრების, ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის შესახებ და სხვ.



კრებული იხსნება პოემით „ფიცი კოცონთან“. იგი ზაფხულის პერიოდში მშობლიურ მხარეში სამოგზაუროდ წასულ პიონერთა მრავალფეროვან ცხოვრებას გვიხატავს. ამ პოემაში საინტერესოდ და ამაღელვებლადაა მოთხრობილი პიონერული კოცონისათვის ფიჩხის შესაგროვებლად წასული პიონერების ნოდარ ბექაურისა და შოთა კავკასიძის მიერ დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული ნოდარის მამის — შაქრო ბექაურის საფლავის ნახვა.

პოემაში „ოქროყანელი შაქრო“, გადმოცემულია შაქროს სიყვარული სწავლისა და შრომისადმი.

ინტერესით იკითხება პოემა „ლეგენდარული ჩანთა“, რომელშიაც აღწერილია გმირი ბავშვის ტოლიას მამაცური ბრძოლა ფაშისტი არამზადების წინააღმდეგ.

გარდა აღნიშნული პოემებისა ოთარ ჭელიძის წიგნში მოთავსებულია „თანდილა“, „ნაქაობარი“, „სამგორის ლეგენდა“ და სხვ.

ოთარ ჭელიძის საბავშვო პოემების წიგნს ინტერესით კითხულობენ ნორჩი მკითხველები.

არკადი ხუნდაძე

### ე ქ ი მ ი ს   ს ა უ ბ ა რ ი

# სუფთა ჰაერი ჯანმრთელობის მეგობარია

ჰაერი ცოცხალი ორგანიზმის საარსებო წყაროა, ის უპირველესი და მუდმივი საკვებია. ჰაერთან მუდმივი, განუყრელი ურთიერთობით აწესრიგებს ორგანიზმი თავის სასიცოცხლო პროცესებს.

ჰაერი მრავალ აიროვანი ნივთიერების ნარევია. მასში საშუალოდ სამოცდაცხრამეტი პროცენტი აზოტია, ოც პროცენტზე მეტი ჟანგბადი და მცირე რაოდენობით ნახშირორჟანგი. ჩასუნთქულ ჰაერიდან ფილტვები შეისუნთქავს ერთმეოთხედ ჟანგბადს, ამოისუნთქავს ნახშირორჟანგს ასჯერ მეტი რაოდენობით, ხოლო აზოტი თითქმის უცვლელი რჩება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჰაერიდან ადამიანი ითვისებს ჟანგბადს და ათავისუფლებს ნახშირორჟანგს, როგორც ორგანიზმისათვის უვარგის ნივთიერებას. ასეთი პროცესი აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის.

ჰაერის ქიმიური შემადგენლობა, ტემპერატურა, სინამე, მოძრაობა, მზის სხივოსნობა, სითბური სხივოსნობა, ჰაერის ელექტრული დაძაბულობა და ბარომეტრული წნევა ერთნაირად მოქმედებენ ადამიანზე. მათ ცვალებადობასა და ურთიერთ შეფარდებაზე არის დამოკიდებული ჰაერისნაირსახოვანი თვისებები სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში. დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერში მტვრის რაოდენობას, რითაც განისაზღვრება ჰაერის სისუფთავე.

ზემოაღნიშნული სხვადასხვა მეტეოროლოგიური ელემენტები განსაზღვრავენ ეგრეთწოდებულ კლიმატს. კლიმატის მიხედვით ფასდება მთისა და ზღვისპირა კურორტების სამკურნალო მნიშვნელობა.

ვილაპარაკოთ მხოლოდ ჰაერის აბაზანების გამოყენების შესახებ. ასეთი აბაზანის მიღება სრულიად უბრალოდ სორციელდება.

ჰაერის აბაზანა არის ღია ჰაერის მოქმედება გაშიშვლებულ სხეულზე. ამ დროს სხეულს ეცემა მზის გაფანტული სხივებიც. ჰაერის აბაზანების მიღება ჯობს ღია ცისქვეშ, რადგან ოთახში ჰაერი უმოძრაოა, მასში ყოველთვის მოიპოვება მტვერი, ამონასუნთქი და ოფლის ანაორთქლი შხამები. ზამთარში ჰაერის აბაზანის მიღება შეიძლება აგრეთვე ფანჯრებლია ოთახში. წელიწადის თბილი და ცხელი ამინდების პერიოდში კი ჰაერის აბაზანები კეთდება ჩრდილში ისეთივე წესების დაცვით, როგორც მზის აბაზანების მიღებისას.

ტიტველ სხეულზე ჰაერის უშუალო გავლენით სხეულიდან გამოყოფილი უვარგისი ნივთიერებანი უფრო სწრაფად ცილდებიან კანს. ჰაერის მოძრაობა აღიზიანებს კანის ზედაპირს, აძლიერებს კანის სუნთქვას, მის დამცველობით თვისებებს, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას, სითბოს ცვლის მდგომარეობას და ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

ჰაერის აბაზანების გამაჯანსაღებელი მოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სხეულის სითბოს მოწესრიგებაა.

ადამიანი მუდმივად ინარჩუნებს სხეულის ერთ და იმავე ტემპერატურას გარეშე ტემპერატურის ცვალებადობის მიუხედავად. ამით აიხსნება, რომ სიცხეში ადამიანს ოფლი მოსდის და გაძნელებულია აორთქლების და, მაშასადამე, სითბოს გაცემის პროცესი, ხოლო სიცივეში კანი აისორკლება და წარმოიშობა ეგრეთწოდებული „ბატის კანი", რაც სითბოს შენარჩუნების რეაქციას წარმოადგენს.

ჰაერის აბაზანების გავლენით ვარჯიშდება ორგანიზმის სითბოს სარეგულაციო აპარატი და სხეული ეჩვევა გარეშე ტემპერატურის ცვალებადობას საპასუხო რეაქციების გაძლიერებით.

ვინც ერიდება სუფთა ჰაერს, სისტემატიურად არ ანიავებს საცხოვრებელ ბინას და გაცივების შიშით ზამთარ-ზაფხულ იფუთნება — ის უფრო ხშირად ცივდება, ემართება სურდო და განწყობილია გაცივებასთან დაკავშირებულ მრავალ ავადმყოფობისადმი. გაზაფხულის თვეებიდან უნდა მიეჩვიოთ ფანჯრებლია ოთახში ძილს. ზომიერი ჰაერაცია აკაჟებს ორგანიზმს. რაც შეიძლება მეტი დრო უნდა დაჰყოთ სუფთა ჰაერზე, ჩრდილში, ღია ცისქვეშ.

სასარგებლოა როგორც სუფთა ჰაერის სუნთქვა, ისე ჰაერის აბაზანების მიღებაც. ასეთ აბაზანას ღებულობენ მსუბუქი საუზმის შემდეგ, ტრუსებში, ხის ტახტზე დაწოლილ მდგომარეობაში. ხის ტახტი უნდა მოათავსოთ აივანზე, ხის ჩრდილში, სპეციალურად მოწყობილ ხის ფარდულის ჩრდილში, ბაღში, პლიაჟზე და სხვ. დასაშვებია მსუბუქი ტანვარჯიში, როგორც აბაზანის მიღებისას ისე მის შემდეგაც. აბაზანას უნდა მოჰყვეს ნელთბილი შხაპის მიღება ან სველი ტილოთი დაზელვა.

ჰაერის ტემპერატურის მიხედვით განირჩევა ცივი აბაზანები 10-15 გრადუსისა, გრილი აბაზანები 15-20 გრადუსისა და თბილი აბაზანები 20-30 გრადუსის ჰაერის ტემპერატურით. სხეულის შეჩვევის მიზნით ვიწყებთ თბილი აბაზანების მიღებას, შემდეგ გადავდივართ გრილ და ბოლოს ცივი აბაზანების მიღებაზე. ტემპერატურული მაჩვენებლის გარდა შეიძლება ვისარგებლოთ სხეულის სასიამოვნო შეგრძნებით. როდესაც ჰაერის აბაზანები სიცივის უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს, მაშინ ან სრულიად შევწყვეტთ აბაზანების მიღებას, ან მას დავუმატებთ მსუბუქ ტანვარჯიშს.

ჰაერის აბაზანის ხანგრძლივობა 5-15 წუთს უდრის, მომდევნო დღეებში 10-15 წუთი ემატება და საბოლოოდ 1-1½ საათს აღწევს. სპორტსმენისათვის დასაშვებია ჰაერის აბაზანის მიღება 2—3 საათის ხანგრძლივობით.

ჰაერის აბაზანას ღებულობენ დღის პირველ ნახევარში, როგორც დამოუკიდებლად, ისე მზის აბაზანის შემდეგ.

ქარიან ამინდში ჰაერის აბაზანის მიღება საფრთხილოა.

რაც შეიძლება მეტად ისარგებლეთ სუფთა ჰაერით. ნუ მოაკლებთ თქვენ სხეულს ჰაერის თავისუფალ მოძრაობას. სუფთა ჰაერი ჯანმრთელობის მეგობარია.

ალექსი მინდაძე,
მედიცინის მეცნ. დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## ელექტროსადგური მაგიდაზე





ჩვენს ვეებერთელა მხარეში ძნელია იპოვო ისეთი ადგილი, სადაც რადიო არ იყოს. მას მთელი დედამიწის ზურგიდან მოაქვს ახალი ამბები: ყველაზე შორეულ სოფლებში, მეცხოველეობის ბანაკებში, ექსპედიციების კარვებში და სხვ.

ყველგან, სადაც ელექტრონია, რადიოც არის. სოფლებში კი სადაც ელექტროგაყვანილობა ჯერ არ არის, რადიომიმღები საზრდოობს განსაკუთრებული ბატარიებიდან მიღებული დენით. ეს ბატარიები ვეებერთელაა, მძიმეა და ამასთან საჭიროა მათი ხშირი ცვლა.

დიდი ხანი არ არის, რაც შემუშავდა ახალი, მეტად საკვირველი უბრალო ელექტროდენის წყარო. იგი შედგება... უბრალო ნავთის ლამპისაგან, რომელსაც შუშაზე ჩამოცმული აქვს სრულიად მარტივი ხელსაწყო.

ნავთის ლამპა ნავთქურის უახლოესი ნათესავია, რომელიც გარდა სინათლისა, სითბოსაც იძლევა. აი ამ სითბოთი ისარგებლეს გამომგონებლებმა ელდენის მისაღებად.

დიდი ხანია ცნობილია თუ როგორ უნდა გარდავქმნათ სითბოს ენერგია ელექტროენერგიად. ელექტროსადგურებში სითბოს დახმარებით, რომელსაც გახურების შედეგად ვღებულობთ, მოიპოვებენ ორთქლს, რომელიც ტურბინს ამოძრავებს, ტურბინი კი დენის გენერატორს. მაგრამ რასაკვირველია, ნავთის ლამპაზე ვერ მოვაწყობთ ქვაბიან ელექტროსადგურს, ტურბინებითა და გენერატორით, ამიტომ გამომგონებლებმა სხვა გზა აირჩიეს.

ცნობილია, რომ თუ ორი სხვადასხვა ლითონის ფირფიტას შევაკავშირებთ და შემდეგ შედუღების ადგილს გავათბობთ, მაშინ ფირფიტებში ელდენი აღმოცენდება, რადგანაც ორი ლითონის შენადუღი ადგილი ხურდება, წვრილი ნაწილაკები — ელექტრონები — იწყებენ მოძრაობას ლითონის ერთი ნაწილიდან მეორეში — ისევე როგორც ელექტროღუმელზე დადგმულ ჩაიდანში ხდება წყლის ცირკულაცია, ხოლო ელექტრონების მოძრაობა — თავისთავად ელექტროდენია.

გამომგონებლებმა გაითვალისწინეს ყველა ეს მდგომარეობა. რაც მთავარია შეარჩიეს ლითონების «ხელსაყრელი წყვილი» და მიიღეს ჩვეულებრივზე ათჯერ მეტი სიძლიერის დენი.

მაგრამ მაინც ეს დენი ასჯერ უფრო მცირე იყო, ვიდრე რადიომიმღებს სჭირდებოდა.

მაშინ კონსტრუქტორებმა შეაერთეს რამდენიმე «ხელსაყრელი» ლითონის წყვილი და მიიღეს დენი 1 — 2 ვოლტის ძაბვისა და სამი ვატის სიძლიერისა. სწორედ ასეთი დენი იყო საჭირო მიმღებ «როდინა-52»-ის საკვებად.

მაგიდის ელექტროსადგურები იქ, სადაც არ არის ელექტრონი, ორმაგადაა სასარგებლო: სინათლესაც იძლევა და რადიომიმღებისათვის დენსაც.

ამჟამად ჩვენი მრეწველობა აწესრიგებს ამ შესანიშნავი მოწყობილობის გამოშვებას.

## თავისუფლების ფრინველი — კეტცალი

ცენტრალური ამერიკის ტყეებში ცხოვრობს იშვიათი ფრინველი კეტცალი, რომელიც თავისი გარეგნული სილამაზით სახელგანთქმულ სამოთხის ჩიტს ექიშპება. კეტცალი ტროგონების ოჯახს ეკუთვნის, რომელიც მხოლოდ ტროპიკულ მხარეებში გვხვდება. სიდიდით მტრედის ოდენაა; მის ზურმუხტისფერ ზურგს და ფრთებს მოცისფრო ფერი გადაჰკრავს. გული ღია ალისფერი აქვს, ფეხები და ნისკარტი — ყვითელი. თავს უმშვენებს მაღალი, ფაფუკი აბრეშუმისმაგვარი ქოჩორი. მაგრამ კეტცალს რაც ყველაზე შესანიშნავი აქვს ეს მისი არაჩვეულებრივი დიდი კუდია, რომელიც ზოგჯერ ერთ მეტრს აღწევს.

მექსიკის და გვატემალის ძველ ინდოელ მოსახლეთათვის — კეტცალი ითვლებოდა წმინდან ჩიტად. მისი კუდის ბუმბული ბელადების და ქურუმთა საპატივცემულო მოსართავად იხმარებოდა; რიგითი ინდოელებისათვის კი ამისი ტარება აკრძალული იყო.

XIX საუკუნეში კეტცალის ბუმბული ძვირად ფასობდა, როგორც ქალის შლიაპების მოსართავი. ხშირმა ნადირობამ ეს ფრინველი თითქმის მთლიანად გაანადგურა და ახლა კეტცალი მხოლოდ ტროპიკული ტყეების სიღრმეში-ღა გვხვდება.

ინდოელებს ასეთი რწმენა ჰქონდათ: თუ კეტცალს დაიჭერდნენ ტყვეობას ვერ აიტანდა და მოწყენილობისაგან მოკვდებოდა.

კეტცალის გამოსახულება, როგორც თავისუფლების და დამოუკიდებლობის სიმბოლო ამშვენებს გვატემალის სახელმწიფო ღერბსა და დროშას. მისივე სახელი — კეტცალი ჰქვია გვატემალის ფულად ერთეულსაც.

## ოთხთვალა თევზი — ანაბლეპსი

გვატემალის ზოგიერთ მდინარეში იშვიათად გვხვდება თევზი ანაბლეპსი, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, «ოთხთვალა». ამ პატარა თევზს თვალის ბროლი განსაკუთრებული რქოვანი გარსით ორადა აქვს გაყოფილი ისე, რომ ანაბლეპსის თითოეულ თვალს თითქო ორი ბროლი აქვს ერთი მეორეზე განლაგებული.

ანაბლეპსი ჩვეულებრივად წყლის ზედაპირზე დაცურავს ისე, რომ თვალის ქვემო ბროლები წყალქვეშ რჩება, ზემოთა კი წყლის ზედაპირზე. თვალების ამგვარი აგებულება თევზს საშუალებას აძლევს, ერთდროულად იხედებოდეს როგორც წყლის ქვეშ, ისე წყლის ზემოთ. მას შეუძლია ჰაერში დაიჭიროს ქინქლა, რომელიც მის საკვებს შეადგენს, და ამავე დროს წყლის ქვეშ უთვალთვალოს ხომ არ ემუქრება მტერი — მტაცებელი თევზი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა




# შინაარსი

გვ.

**ალექსანდრე აბაშელი** — საოქტომბრო სიმღერა (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 1
**იოსებ გრიშაშვილი** — საბჭოთა მესაზღვრის პასუხი (ლექსი) . . . . . . . . . 2
**გიორგი შატბერაშვილი** — მერცხლის ბუდე (მოთხრობა) . . . . . . . . . . . 3
**გალაკტიონ ტაბიძე** — ახალგაზრდობას (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 9
**ვ. პაშინინი** — სპორტული სამკერდე ნიშანი (მოთხრობა, თარგმანი ზ. ობოლაძისა) . . . 10
**გიორგი ლეონიძე** — ნაკადული (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . . 12
**ლენგსტონ ჰიუზი** — როდესაც შავი წითელი გახდება (მოთხრობა, თარგმანი ვ. ჭელიძისა). 13
**ხუტა ბერულავა** — ძია დათას მეგობრები (პოემა) . . . . . . . . . . . 15
**როდიონ ქორქია** — უდარდელი კაცი (ზღაპარი) . . . . . . . . . . . . . 17
პიონერული ახალი ამბები . . . . . . . . . . . . . . . . 19
რობინ ჰუდი და მღვდელმთავარი — (ინგლისური ხალხური ბალადა, თარგმანი გ. გაჩეჩილაძისა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20
**ედიშერ ყიფიანი** — სკოლა და წიგნი — ბურთი და მოედანი (ნარკვევი) . . . . : 22
მოსწავლეთა შემოქმედება — **ჯუმბერ ჯოჯუას, ვაჟა ყუბუსიძის და მურმან ძველაიას** ლექსები . . . . . . . . . . . . . . . . . . 25
**მალხაზ ნატროშვილი** — ნორჩი ტურისტის ჩანაწერები (ნარკვევი) . . . . . . 26
**ნოდარ ჩხეიძე** — ფ. ვიგდოროვა — „ჩემი კლასი“ (წერილი) . . . . . . . 29
**არკადი ხუნდაძე** — ო. ჭელიძე — „საბავშვო პოემები“ (წერილი) . . . . . . 29
**ალექსი მინდაძე** — სუფთა ჰაერი ჯანმრთელობის მეგობარია (წერილი) . . . . . 30
მოკლედ ყველაფერზე — ა) თავისუფლების ფრინველი კეტცალი, ბ) ელექტროსადგური მაგიდაზე, გ) ოთხთვალა თევზი ანაბლეპსი . . . . . . . . . . . 31
გასართობი — ა) კროსვორდი, ბ) პასუხი კროსვორდზე, გ) გამოცანები გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანის პირველ გვერდზე — **„ოქტომბრის ზეიმზე“** — ნახატი უჩა ჯაფარიძისა.

გარეკანის მეორე გვერდზე — ფოტორეპროდუქცია მხატვარ ვ. სეროვის სურათიდან: **„ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას“**.

გარეკანის მეოთხე გვერდზე — **გ. ფოცხიშვილის პლაკატის — „ჩემი წვლილიც იქნება კომუნიზმის მშენებლობაში“** — ფოტორეპროდუქცია.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **უ. ჯაფარიძის, ალ. გიგოლაშვილის, გ. თოთიბაძის, დ. ხახუტაშვილის, გ. ფოცხიშვილის, ალ. ვეფხვაძის, კ. მახარაძის, ლ. გუდიაშვილის** და **ალ. ბანძელაძის** მიერ.

**რედაქტორი რევაზ მარგიანი.** სარედაქციო კოლეგია: **რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი), **ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

**„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Ноябрь, № 11, 1953.**
Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უე 13218 ტირაჟი 15.000 გამოწკ. შეკვ. № 330 სტამბის შეკვ. № 1241. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასართობი

## კროსვორდი



### ჰორიზონტალურად

3. ირმის ჯოგი, 6. ტექნიკური კულტურა, 8. დეკაბრისტთა შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, 10. ხილი, 11. მითიური პირველი ადამიანი დედამიწაზე, 12. თხელი, გამჭვირვალე, 15. სახელმწიფო აზიაში, 19. ქიმიური ელემენტი, 21. ხელოვნური აბრეშუმი, 22. ქალაქი გერმანიაში, 23. ხერხემლიანი ცხოველების ერთ-ერთი სახე, 25. დასახული მიზნის განხორციელებისათვის წაქეზება, 26. ოთახის ძაღლი, 27. სოფელი სურამის მახლობლად, 32. ცნობილი ფრანგი მხედართმთავარი, 34. საფინანსო საბანკო დოკუმენტი, 35. სამშენებლო მასალა, 36. ჭურჭლის კომპლექსი, 37. იტალიელი, მშვიდობის სტალინური პრემიის ლაურეატი, 38. დედამიწის ერთ-ერთი მატერიკი.

### ვერტიკალურად

1. გარეული ცხოველი, 2. დაფქვის გასამრჯელო, 4. სამხედრო შენაერთი, 5. დიდი რუსი განმანათლებელი, 6. მდინარე საქართველოში, 7. ნივთიერების უმცირესი ნაწილი, 9. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობათა ერთ-ერთი კრებული, 13. სახელმწიფო აღმოსავლეთში, 14. უძვირფასესი ქვა, 16. სადღესასწაულო საკვები ულუფა, 17. მინერალი, 18. ვაზის ჯიში, 20. ქალაქი ჩინეთში, 24. გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკე, 26. მცენარის ძირი, 28. მტაცებელი ცხოველი, 29. ქართული ოპერა, 30. წონის ერთეული, 31. ქიმიური არამდგრადი ნაერთი, 33. მხარე სსრკ აღმოსავლეთ ნაწილში.

შეადგინა ეთერ ზადიკაშვილმა

---

### პასუხი ჟურნალ „პიონერის" № 10 მოთავსებულ კროსვორდზე

#### ჰორიზონტალურად

1. იგრეკი, 5. კატედი, 8. ასო, 11. მექსიკა, 13. აპოთემა, 16. ტოკიო, 17. ოდერი, 18. ომეგა, 23. უნგრეთი, 24. ზოია, 25. ფაზა, 26. რონდო, 27. ქაირო, 28. ლემა, 31. ოლქი, 34. ლაკმუსი, 36. ტემპი, 37. ფორტე, 39. ფლორა, 40. აბრაზია, 43. კომისია, 45. არი, 46. ტირაჟი, 47. ოფელია.

#### ვერტიკალურად

2. გალაქტიკა, 3. ეთილი, 4. იალტა, 5. კოლბა, 6. ტუნგო, 7. დიათერმია, 9. კომპოსტი, 10. ამალგამა, 12. კიო, 14. პაი, 15. მეტრი, 19. ბაზალტი, 20. ჟურნალი, 21. სიცილია, 22. გრანიტი, 29. მოდერატო, 30. ამური, 32. ლაურეატი, 33. კოპერნიკი, 35. ტელესკოპი, 37. ფაი, 38. ეხო, 41. ზებრა, 42. ალტაი, 43. კანიო, 44. მორზე.

---

## გამოცანები

1. ერთი რკინაა ამ ქვეყნად,
მეცხვარის სახელს ატარებს.
დღეა თუ ღამე, იტაცებს
ლითონის ნაჭრებს პატარებს.

2. კახურ ქუდზე დიდსა
ჩვენში ნახავთ განა?!
იცის კვერცხის დება,
ხარივით ძოვს ბალახს,
ძველი მებრძოლივით
ზურგზე ფარი ფარავს.

3. წვერს არასდროს იპარსავს
კუდმოკლე, დიდყურება.
მკვდარიცა და ცოცხალიც
პატრონს ემსახურება.

4. ბაღჩიდან მომიტანეს,
თავი გადამაცალეს,
ფანჯარა ამომიჭრეს,
გული ამომაცალეს,
ხარკმელიდან ამავსეს,
ნისკარტიდან დამცალეს.

5. მიწის შვილია, მაინც
დედამიწაში ჯდება,
მუცელი გამობერვია,
სვამს და არასდროს თვრება.

განთქმული ჩვეულება აქვს
დიდს და პატარას, ყველას:
მწყურვალს თუ რამე უთხარი
გაიმეორებს ხელად.

გოგი წერეთელი

523/25

ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მხატვარ გაიოზ ფოცხიშვილის პლაკატი „ჩემი წვლილიც იქნება კომუნიზმის მშენებლობაში!“

პლაკატი მოსკოვში გამოსცა გამომცემლობა „ისკუსტვომ“.